645 | 1978 | 2

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

ივნისი
№ 6 1978 წ.

СССР
ЗНАК ПОЧЕТА



სტუმრად საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში



თბილისის № 1 საბავშვო ბაღში

მაისის თვეში, მოსკოვში გაიმართა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საბჭოს სესია.

სესიის მონაწილეებს გულთბილად მიესალმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

სესიის მუშაობაში ყველა კონტინენტის ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩეოდა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია, რომელიც განუხრელად და მტკიცედ იცავს ქალთა და ბავშვთა მშვიდობიანი, ბედნიერი ცხოვრებისა და მომავლის წმიდათაწმიდა უფლებებს.

სესიის ყურადღების ცენტრში იდგა მსოფლიოში შეიარაღების შემცირების და მშვიდობის განმტკიცების საკითხები. „შეწყდეს გამალებული შეიარაღება. უზრუნველყოფილ იქნეს ყველა ქვეყნის ყველა ხალხის მშვიდობიანი ცხოვრება!“ მოითხოვდნენ ორატორები.

სესიის მონაწილეთა ერთი ჯგუფი თბილისს ეწვია. ჩვენს დედაქალაქში რამდენიმე დღეს სტუმრად იმყოფებოდნენ: ინდოეთის, ბანგლადეშის, ნეპალის, გაიანის, მალაიზიის, ფილიპინების, ავღანეთის, იამაიკისა და სინგაპურის წარმომადგენლები.

სტუმრებმა დაათვალიერეს რესპუბლიკის ღირსშესანიშნავი ადგილები — კულტურის უძველესი ძეგლები, გაეცნენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის მიღწევებს.

დ. იაკობაშვილის ფოტო

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ბავშვები რომ ბედნიერები იყვნენ...

## პირველი ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

ჩვენს განათლებულ, საოცარი აღმოჩენების საუკუნეში, როდესაც ადამიანთა ყველაზე გაბედული ოცნებები რეალობად ქცეულა, წარმოუდგენელია, კაცობრიობის ყველაზე სათუთი ნაწილი — ბავშვები სიღატაკეს, უმეცრებას და კაცთმოძულეობას ეწირებოდნენ.

მაგრამ ფაქტი ფაქტია! არა მარტო აზიის, აფრიკის და სამხრეთ ამერიკის ჩამორჩენილ ქვეყნებში, არამედ თვით განვითარებული კაპიტალიზმის სამყაროშიც ბავშვების საკმაოდ დიდი ნაწილი მოკლებულია არსებობის, ზრდისა და განათლების ელემენტარულ საშუალებებს. უმუშევრობა, ფასების ზრდა, ინფლაცია და კაპიტალისტური ცხოვრების სხვა მანკიერებები მძიმე ტვირთად აწევს მოზარდი თაობის სუსტ მხრებს. მილიონობით ბავშვი მძიმე შრომაშია ჩაბმული, გაჭირვებულია და გაუნათლებელი.

იმ მძიმე გაკვეთილის შემდეგ, რაც მეორე მსოფლიო ომმა დაგვიტოვა, მთელი კაცობრიობის ყურადღება თითქოს ნაიარევის მოშუშებისაკენ უნდა ყოფილიყო მიმართული, აღარასოდეს განმეორებულიყო ის, რაც იყო... მაგრამ ამ 33 წლის მანძილზე ომის დამთავრებიდან უკვე 100-მდე შეიარაღებული კონფლიქტი მოხდა ჩვენს პლანეტაზე, რამაც კიდევ ბევრი მწუხარება, ნგრევა, ობლობა და გაჭირვება შემატა მსოფლიოს: რამდენი პატარა პალესტინელი ლტოლვილია ამჟამად წარმოუდგენლად მძიმე მდგომარეობაში!.. არანაკლებ აუტანელია ჩილელი ობოლი ბავშვების მდგომარეობა, რომლებიც, პინოჩეტის მთავრობის ანტიხალხური პოლიტიკის „წყალობით“, მათხოვრულ პირობებში იმყოფებიან... და კიდევ რამდენი ასეთი... მსოფლიოში დღეს ყოველი მეათე ბავშვი შიმშილობს, მაშინ, როდესაც კაცობრიობა ყოველდღიურად მილიარდ დოლარს ხარჯავს საბრძოლო შეიარაღებისათვის.

რამდენი დანგრეული სახლკარის აღდგენა შეიძლებოდა ამ სახსრებით, რამდენი მშიერი ბავშვის გამოკვება!

ბავშვები!

ჩვენი პლანეტის ბავშვები — XXI საუკუნის მომავალი მოქალაქენი! უყურებთ ჩვენი ქვეყნის გალაღებულ ბავშვებს და გული სიხარულით და სიამაყით გევსებათ! ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს ეკუთვნით, მათთვის ზრუნავს სახელმწიფო, მათს უფლებებს განამტკიცებს საბჭოთა ახალი კონსტიტუცია... მაგრამ ადამიანებს უფლება არა გვაქვს მშვიდად ვიყოთ, სანამ ერთი ბავშვიც კი შიმშილობს ჩვენს პლანეტაზე, ჩაგრულია და ექსპლოატირებული. კაცობრიობის ვალია, უზრუნველყოს ყოველი ბავშვის ბედნიერი ბავშვობა, აღუზარდოს მომავალს ჯანმრთელი, ენერგიული, განათლებული, ბედნიერი ადამიანები.

ამ დიდი კეთილშობილური მოვალეობით იყო ნაკარნახევი გა-



კ. მარქსის ... საქ. სსრ
სახელმწ...

# იზარდე, [illegible] ტკბილო!

გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის 1976 წლის დეკემბრის დადგენილება, რომლის მიხედვით 1979 წელი „ბავშვის საერთაშორისო წელიწადად“ არის გამოცხადებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში, გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის საქმიანობაში ტრადიციად იქცა, ესა თუ ის წელიწადი სპეციალურ პრობლემებს მიუძღვნას, რათა მსოფლიო საზოგადოებრიობის და, უპირველესად, თავისსავე ორგანიზაციაში შემავალი სახელმწიფოების ყურადღება თანამედროვეობის ყველაზე მტკივნეულ საკითხებს მიაპყროს, — იმ საკითხებს, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაჭრას საჭიროებს (მაგალითად, ასე ჩატარდა „ქალის საერთაშორისო წელიწადი“ 1975 წელს).

გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციამ, დადგენილების მიღებისთანავე, წინადადებით მიმართა ყველა სახელმწიფოს, აქტიურად ჩაბმულიყვნენ ბავშვის წელიწადისათვის სამზადისში.

მუშაობის კოორდინირებისათვის შეიქმნა ერთიანი კომიტეტი და საკონსულტაციო ჯგუფი ორგანიზაციის სხვადასხვა სპეციალიზებული დაწესებულებების წარმომადგენლებისაგან.

ყოველი ორგანიზაცია ბავშვთა პრობლემებს თავისი პროფილით შეისწავლის. მაგალითად: შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია — ბავშვთა შრომითი დასაქმების საკითხებს, იუნესკო ჩაატარებს გამოკვლევებს ბავშვთა კეთილდღეობის, ჯანმრთელობის, განათლებისა და ქვეყნების სოციალ-ეკონომიკური განვითარების ურთიერთკავშირის შესახებ; ყურადღებას გაამახვილებს განსაკუთრებით მძიმე პირობებში მყოფი ბავშვების პრობლემებზე — უპირველესად ლტოლვილ ბავშვთა მდგომარეობაზე, ბავშვთა უფლებებზე, მიიზიდავს თვით ბავშვებს „ბავშვის საერთაშორისო წელიწადში“ მონაწილეობისათვის. ასევე ბევრმა სხვა სპეციალიზებულმა დაწესებულებამ შეიმუშავა თავისი სამოქმედო პროგრამა.

1979 წელს მოეწყობა ბავშვთა პრობლემებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციის ამოცანები განისაზღვრა გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის ქალთა ათწლეულის საერთაშორისო კომიტეტის სხდომაზე, პრაღაში, შარშან 2 ოქტომბერს, შეიქმნა კონფერენციის აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ სხვადასხვა საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლები. აღმასრულებელ კომიტეტს სათავეში ჩაუდგა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის პრეზიდენტი ფრიდა ბრაუნი.

ამრიგად, მსოფლიო საზოგადოებრიობის დღის წესრიგში დგას უდიდესი მნიშვნელობის პრობლემა, რომელიც დაუყოვნებლივ და სამართლიან გადაჭრას მოითხოვს.

თუ დედებს არა, მაშ ვის უნდა აღელვებდეს, რას მოგვიტანს „ბავშვის საერთაშორისო წელიწადი?“

ამიტომ არის, რომ ამ სამზადისში მთელი თავისი შესაძლებლობით მონაწილეობს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია, რომელშიც საბჭოთა ქალების კომიტეტს წამყვანი ადგილი უჭირავს, და ქალთა სხვა ასობით ორგანიზაცია — ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ბავშვების ბედი, მსოფლიოს სიცოცხლე და პროგრესი.

მტკიცე მშვიდობის მშენებელთა ვარშავის საერთაშორისო კონფერენციაზე (1977 წლის მაისში) სრულიად პოლონეთის მშვიდობის კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ცირანკევიჩმა ასამბლეის ტრიბუნიდან განაცხადა: „ჩვენი სხდომათა დარბაზის კარზე გვიკაკუნებენ თავისი მომავლით შეშფოთებული, სხვადასხვა ხალხების მილიონობით ბავშვი“...

ეს ბავშვები იმედის თვალით შესცქერიან ყოველ მშვიდობისათვის მებრძოლს, იმედის თვალით შესცქერიან კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობისა და, უპირველესად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სამშვიდობო მოღვაწეობას.

დღევანდელ დღეს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, მთელი მსოფლიოს ბავშვებს მშვიდობიან, კეთილ, ბედნიერ მომავალს ვუსურვებთ, დედებს კი — ბედნიერ დედობას.

დაე, აღარასოდეს დაეჩრდილოს ზეცა ომისა და მწუხარების ღრუბლებს!

საქართველოს სსრ კონსტიტუციაში წერია, რომ ქალთათვის უზრუნველყოფილია ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ შრომა შეუხამონ დედობას.



ზუგდიდის ქაღალდის კომბინატში, სადაც უმრავლესობა ქალები არიან, ყველაფერი კეთდება ბავშვების აღზრდისათვის.

ახლა ზაფხულია და საბავშვო ბაღის აღსაზრდელები სოფელ ჭკადუაშის აგარაკზე ისვენებენ. მათ განკარგულებაშია სალომე დადიანისა და მისი მეუღლის, ფრანგი უფლისწულის აშილ მიურატის ყოფილი სასახლე ეზო-კარმიდამოთი. ასწლოვანი რცხილებითა და ცაცხვებით დაბურულ ეზოში კამკამა ცივი წყარო მორაკრაკებს. უხვად დახუნძლულა ნაყოფით ხეხილის ბაღი, საუკეთესოდ არის მოვლილი ბოსტანი.

პატარებმა ბოსტნის მოვლა ზუგდიდის საბავშვო ბაღის ეზოში ისწავლეს. იქ 10 ათასი კვ. მეტრი ფართობი ეზო აქვთ, 600 კვ. მეტრს კი საბოსტნედ იყენებენ. ბავშვებისათვის სპეციალურად დაამზადეს შრომის პატარა იარაღები და ასწავლეს თესვა, ნათესების სარეველებისაგან გაწმენდა. როცა საბავშვო ბაღების საბოსტნე ნაკვეთების რესპუბლიკური დათვალიერება მოეწყო, ზუგდიდის ენგურქაღალდკომბინატის ბაღმა გაიმარჯვა — პირველი ადგილი ხვდა წილად. აქ ზამთარ-ზაფხულ პატარებს არ აკლიათ ბოსტნეული.

ბაღს მაღალკვალიფიციური პედაგოგ-აღმზრდელები ჰყავს. ბავშვთა გონებრივი აღზრდა ნამდვილად საიმედო ხელშია. მათი ფიზიკური აღზრდისთვისაც ბევრი უფიქრიათ აღმზრდელებს.

ბაღის ეზოში ნახავთ კალათბურთის მოედანს, სპორტულ სავარჯიშოებს და იარაღებს, შვედურ კიბეებს, სარბენ ბილიკებს, სასრიალოებს... ეზო კი არა, ნამდვილი წალკოტია—ტირიფებით, მარადმწვანე მცენარეებით, ხელოვნური ტბებითა და ჩანჩქერებით, ვარდებით, ქრიზანთემებით დამშვენებული. იქვეა ცოცხალი კუთხე კურდღლებზე, თევზებზე, წიწილებზე, თუთიყუშებზე დაკვირვებისათვის.

კომბინატის დირექციას, პარტიულ და საფაბრიკო კომიტეტებს სწორად ესმით სკოლამდელ დაწესებულებათა წინაშე მდგომი დღევანდელი გაზრდილი პედაგოგიური თუ მეთოდური მოთხოვნები. — ახლა ისინი ბაღისთვის ახალი შენობის აგებას აპირებენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გულრიფშის
საბავშვო
ბაღში

გულრიფშის ილიჩის სახელობის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაგა-ბაღი უძველესია რესპუბლიკაში. იგი 1932 წელს შეიქმნა. მეურნეობის დღევანდელი მოწინავე მუშები იქ არიან აღზრდილნი. ახლა ისინი საბავშვო ბაღში თავიანთ შვილებსა და შვილიშვილებს დაატარებენ.

ამ ბაღში აღიზარდა და დღეს სხვის შვილებს ზრდის პედაგოგი მზია ცომაია.

ბაღში ყველა პირობაა შექმნილი პატარების სწორი აღზრდისათვის, გონებრივი, ფიზიკური, ზნეობრივი და ესთეტიკური განვითარებისათვის.

ზაფხულის თვეებში ბავშვები სპეციალური ავტობუსით ზღვის სანაპიროზე გაჰყავთ და სამკურნალო-გამაჯანსაღებელ პროცედურებს უტარებენ.

კ. ლიაძე

ზუგდიდელი აღსაზრდელები



# დედა ეკატერინე და მისი 111 შვილი

დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდები

რუსთავის საბავშვო სახლის ისტორიას კიდევ ერთი შესანიშნავი ფურცელი შეემატა. გაზაფხულის ერთ ლამაზ სალამოს საბავშვო სახლს სტუმრები ეწვივნენ. მოზარდები იმ დღეს ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მთელ კოლექტივს მასპინძლობდნენ.

წლების მანძილზე ნაყოფიერი მუშაობისათვის რუსთავის საბავშვო სახლის მთელ კოლექტივსა და მის დირექტორს ეკატერინე კოსოვას ჟურნალ „საქართველოს ქალის“ 1978 წლის სპეციალური პრიზები გადაეცათ.

## ძვირფასო რედაქცია!

რესპუბლიკის საბავშვო სახლების ფართო ქსელი დიდ და კეთილშობილურ საქმეს ემსახურება. ამ სისტემაში ომის შემდგომი პერიოდიდან ვმუშაობ, ჩემთვის ნაცნობია ყველა მისი სატკივარი და სიძნელე.

ვინაიდან „საქართველოს ქალის“ რედაქციას საბავშვო დაწესებულებებისადმი დახმარების კარგი ტრადიცია აქვს, გთხოვთ, ყურადღება გაამახვილოთ ისეთ საკითხებზე, რომლებიც საბავშვო სახლებში მუშაობის ნორმალურ პირობებს უზრუნველყოფს;

1. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს რესპუბლიკის საბავშვო-სახლების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. საქართველოში 24 საბავშვო სახლია, აქედან ტიპიურ შენობაში მხოლოდ ორია.

2. განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს საშეფო მუშაობა. შეფობის მოსურნენი ბევრნი არიან, მაგრამ მხოლოდ სურვილი არ კმარა, სიტყვის საქმედ ქცევა კი ძნელდება; შეფს არ შეუძლია საბავშვო სახლს გადარიცხვით მინიმალური დახმარება აღმოუჩინოს.

3. იქნებ, თბილისში ერთ-ერთი მაღაზია მაინც შეირჩეს, სადაც შეფების მიერ ჩარიცხული თანხით საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატებისათვის ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, სპორტული ფორმის თუ სხვა საჭირო ნივთების შეძენა მოხერხდება, თუ ეს გაკეთდება. მაშინ რესპუბლიკის მსხვილ საწარმოებს შესაძლებლობა მიეცემათ დიდი მატერიალური დახმარება აღმოუჩინონ საბავშვო სახლებს.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რატომღაც არ გააჩნია საბავშვო სახლებისათვის განკუთვნილი მატერიალური ფონდი... მაგალითად, მას იმის საშუალებაც კი არა აქვს, რომ საბავშვო სახლი თუ სკოლა-ინტერნატი, საჭიროების შემთხვევაში, თუნდაც ელექტროქურებითა და გათბობის სისტემისათვის საჭირო მოწყობილობით მოამარაგოს.

5. კარგი იქნება, თუ საკვებმომმარაგებელ ორგანიზაციებს დაევალებათ საბავშვო სახლები და სკოლა-ინტერნატები სისტემატურად უზრუნველყონ ხილითა და ბოსტნეულით (ოღონდ, ფასდაკლებით).

6. საბავშვო სახლებს კულტურის სამინისტრომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს. აუცილებელია კონტაქტები ხელოვნების მუშაკებთან, თეატრებთან ადრინდელი ტრადიციების აღდგენა; საბავშვო სახლის აღსაზრდელებისათვის კულტურის მუშაკებს ბევრი რამ კარგის გაკეთება შეუძლიათ. აქ თავისი სიტყვა უნდა თქვას კომკავშირმაც.

7. აუცილებელია, გადაისინჯოს საბავშვო სახლის აღსაზრდელებისათვის განკუთვნილი ტანსაცმელ-ფეხსაცმლის მომარაგებისა და ხმარების ნორმები და ვადები.

8. აუცილებელია დამხმარე მეურნეობის წარმოებისათვის ყველა საბავშვო სახლს გამოეყოს მიწის ნაკვეთი. ამ საკითხის სწორად გადაწყვეტით მოგვარდება აღსაზრდელთა შრომითი აღზრდა; აღნიშნული მეურნეობის არსებობა კი, ამასთან ერთად, ხელს შეუწყობს საბავშვო სახლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, ხილ-ბოსტნეულით მის მომარაგებას.

**ეკატერინე კოსოვა,**
**რუსთავის საბავშვო სახლის დირექტორი.**

მისამართი: რუსთავი, კომკავშირის ქუჩა, № 15... იმ ენთუზიასტ კომკავშირელთა სახელობის ქუჩა, სადაც რუსთავის პირველმა მშენებლებმა დაჰკრეს ბარი. ... იმ დღიდან არ განელებულა აქ სიცოცხლე, კეთილი საქმე, ისეთი, როგორიც ეს 40 ძმის მუშათა ქალაქს შეჰფერის... ამ ქუჩაზე 30 წელია დიდი ადამინური სითბოთი ცხოვრობს კოპწია ეზოთი დამშვენებული ბავშვებით სავსე სახლი.

ეკატერინე კოსოვას ამ მისამართით მივაკვლიე...

...ეზოს კარებთან ვალოდიამ მეგზურობა შემომთავაზა, დედა ეკატერინესთან მე მიგაცილებო.

ნარგავებით სავსე ეზო მომეწონა. ერთ კუთხეში ბიჭუნები საქმიანობდნენ. ზოგი ახალი ნერგებისათვის მიწას ამზადებდა, ზოგი დეკორაციულ ლობეს ღებავდა...

ფეხის ხმაზე ბიჭებმა ყური ცქვიტეს.

— სტუმარი დედა ეკატერინესთან მიმყავს. — აცნობა მათ პატარა მეგზურმა, შემდეგ გოგონების ჯგუფი წამოგვეწია. საბავშვო სახლელები სკოლიდან ბრუნდებოდნენ...

— სალამი!

— სალამი!

— სალამი!

პასუხს ვერ ვასწრებდი.

ეკატერინე კოსოვა თავის ოთახში არ დამხვდა. დაველოდე.

წიგნებით სავსე პატარა ოთახმა თავიდანვე „გასცა“ დიდი ოჯახის დიასახლისი... მხატვრული, მეთოდური, პოლიტიკური, სამედიცინო ლიტერატურა... უშინსკის, მაკარენკოს, სუხომლინსკის, გოგებაშვილის, კრუპსკაიას ტომები...

...თვალი ფერადი კონვერტებით სავსე თაროსკენ გამექცა. მოსკოვი, კიევი, ტაგან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგი, კრასნოდარი, ნია-გრუზინსკაია, ოჩამჩირე, სოხუმი, ალმა-ათა—აწერია ბარათებს. ერთი ციცქნა ოთახის კედელმა განზე გაიწია, სსრ კავშირის ქალაქებით შემოჯარული აღმოვჩნდი, თავი ჩვენი სამშობლოს შუაგულში ვიგრძენი.

...დერეფნიდან ტელეფონზე მოსაუბრე გოგონას მთრთოლვარე საუბარი ისმოდა.

— ინგა ვარ, დედა, კარგად ვარ, არ იდარდო! ფორმის კაბა მომცეს, თვითონ გავაუთოვე, ხვალ სკოლაში წამიყვანენ, ძამიკო როგორ არის? დედა ეკატერინემ მითხრა... ჰო, ასე ეძახიან, ხვალ სკოლაში ლამაზი ბაბთით უნდა გაგისტუმროო.

— დედა, დამპირდი, რომ არ იდარდებ!...

— გოგონას საუბარი მიწყდა.. დედის კალთას მოცილებული შვილის სევდანარევი ხმა კი ყურში ჩამრჩა...

ოთახში ეკატერინე შემოვიდა. საოცრად ახალგაზრდული მეჩვენა. მომეწონა. სახის ყოველი ნაკვთი უღიმის, ალერსიანი თვალებიდან თითქოს სიცილის ნაპერწკლები სცვივა...

მოსალმება ძლივს მოასწრო; საუბარი ვინ დააცალა.

— დედა ეკატერინე, კოჭები სკოლაში წავიღოთ? — ერთმანეთს არ აცლიდა ორი ბიჭუნა.

— ორივე ერთად ნუ... სერგო, ხმამაღლა ნუ ლაპარაკობ, როცა უფროსი შენთან საუბრობს, ჯიბიდან ხელი ამოიღე, კოჭები შინ დატოვეთ, რომ მოხვალთ, აქ ითამაშებთ...

საქმე მშვიდად დამთავრდა.

— დედა ეკატერინე, კაპიკი ვიპოვე, ყულაბაში უნდა ჩავაგდო!

ნინო ჯანეზაშვილმა კაპიკი თაროზე შემოდგმულ ყულაბაში ჩააგდო.

საუბარი თითქოს კვლავ ვერ აეწყო...

— ჩემზე რა გითხრათ, — ნაწყვეტ-ნაწყვეტ იხსენებს თავის წარსულს... გზაჯვარედინზე უდედ-მამოდ დატოვებულ ბავშვების აღზრდაში გატარებულ წლებს. მოგონებას კოჯრის მე-5 საბავშვო სახლიდან იწყებს. — მისმა დირექტორმა, ჩემმა პირველმა მასწავლებელმა ვასო სიხარულიძემ მაქცია საბავშვო სახლელთა ერთგულ მეგობრად...

ეკატერინე იცინის...

— ვინც საბავშვო სახლში კენჭს გადაყლაპავს, შემდეგ მას ვერ მოსცილდება, ვერ დაივიწყებს...

კრასნოდარი გაიხსენა, სკოლა-ინტერნატი, კოჯრის შემდეგ მშობლების ხათრით ერთი წელი რომ იმუშავა, გამომიტყდა, —უსაქართველოდ ვერ გავძელი. აქ დაბადებულ-გაზრდილს სალამოთი თავთან რადიომიმღები მედგა, ქართულ გადაცემებს ვისმენდი; დედა მეუბნებოდა, ზოგი ძილის წინ ლოცულობს, შენ ქართული სიტყვის ნატვრაში ხარო...

ბედმა საქართველოში დააბრუნა. მეუღლემ რუსთავში დაამკვიდრა....

თითქოს უკვე აწყობილი საუბარი ინგას შემოსვლამ შეგვაწყვეტინა.

— დედა ეკატერინე, ტატიანა დეიდას ჩემი გარეცხილი იატაკი მოეწონა.

— მამა ლოთობს, დედა კეთილ გზას არ ადგას, გოგონა გზას რომ არ ასცდენოდა აქ მოვიყვანეთ. ჯერ სულ ბავშვია. ორი დღის მოსულია, ცდილობს თავიდანვე ყველას ყურადღება მიიპყროს, მეთვალყურეობა კი განსაკუთრებული ჭირდება, — ამიხსნა გოგონას მდგომარეობა ეკატერინემ.

ეკატერინე კოსოვა კარგი მოსაუბრეა. ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობს. როცა საბავშვო სახლის ცხოვრებიდან ეპიზოდებს იხსენებს, თვალები უბრწყინავს, თითოეულ აღსაზრდელზე, საბავშვო სახლის აღმზრდელებზე, კარგ პედაგოგებზე იმდენს მელაპარაკება, ისე მაცნობს ბავშვების ხასიათს, მათდამი აღმზრდელთა დამოკიდებულებას, ისე ერკვევა ნორჩების გატაცებაში.. მოხიბლულია მათი დამოუკიდებლობით, ენთუზიაზმით.

...უკვე არ მიკვირს, რატომ ეძახიან ბავშვები მას „დედა ეკატერინეს!“ მოზარდებს მოსწონთ ეს ხალისიანი, ყურადღებიანი, სამართლიანი და, ამავე დროს, მეტად მკაცრი ქალი.

საუბარს ტელეფონის ზარის წკრიალი გვაწყვეტინებს.

— სკოლაში ცნობებია წარსადგენი? კი ბატონო, ხვალვე გაახლებთ.

— გოგონას შველა უნდა? პატრონი? — როგორ არა ჰყავს, ვინა და ჩვენა ვართ! — ეკამათება ვიღაცას რუსულ-ქართულად ტელეფონზე.

კარებთან ბიჭუნა გამოჩნდა.

— უშანგ, დღეს სტუმარი მყავს, ეცადე ყველგან წესრიგი იყოს, მე არ მცალია! — ბავშვთა საბჭოს თავმჯდომარემ დედა ეკატერინეს განკარგულებაზე თავი უხმოდ დახარა და იქაურობას მოსცილდა.

ოღონდ მას უთხარი საბავშვო სახლზე შენა ხარ პასუხისმგებელიო და მრუდედ ჩხირი არ გადაბრუნდება. — ვაღმერთებ ბავშვთა თვითმმართველობას! ვინც მას პატივს სცემს, არ გაუჭირდება. — ამბობს დედა ეკატერინე და შეწყვეტილ საუბარს უბრუნდება.

კარებს ვალერი მოადგა.

— აბა, რა ამბავია? კიდევ ხომ არ აპირებ ფათერაკების საძებნელად სადმე გაქცევას?

უარის ნიშნად ვალერი თავს იქნევს.

— ვალერი მაშენკო თუ გალჩენკო? როგორ დაგიძახოთ?

— არსად გაქცევას არ ვაპირებ, დედა ეკატერინე, ძალიან გთხოვთ სპორტსკოლაში კრივზე გამიშვათ, მალე მეცადინეობა დაიწყება, ისე კი მე „ვანია გალჩენკო“ გახლავართ — იცინის ვალერი.

— ალბათ გახსოვთ მაკარენკოს „ალმები კოშკებზე“! ამ დღეებში ბავშვებს ამ ნაწარმოების მიხედვით შექმნილი ფილმი ვუჩვენეთ, ახლა თვითონ მოთხრობა გადადის ხელიდან ხელში; ამ მოთხრობიდან ვალერის საყვარელი გმირია ვანია გალჩენკო. დაუჩემებია, სხვა გვარი და სახელი არ მინდაო.







ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვური გატაცებაა! რას იზამ, ზოგჯერ მათაც უნდა აჰყვე — იცინის დედა ეკატერინე.

— იცით, ამ ბიჭუნასი რა მომწონს? — მომიბრუნდა უეცრად ეკატერინე კოსოვა, როცა რაიმე არ მოსწონს, მაშინვე ამბობს! პირდაპირია, არაფერს ფარავს. სხვებისაგანაც ასევე მოითხოვს.

სწორია, ბავშვებთან სიყალბე არ გაგივა, ისიც საბავშვო სახლელებთან, რომელთაც გრძნობათა ყველა არხი გაფაქიზებული აქვთ. ... ბავშვისა მხოლოდ სიყვარული როდი კმარა. საბავშვო სახლელებს ახლობელთა სითბო აკლიათ, ამიტომ უყვართ შინაურული გარემო, ალერსი, უმალ ხვდებიან, ვის უყვარს და ვის არა.

მეათეკლასელმა ვალოდია ბორუნოვმა ფოტოსურათების დასტა შემოიტანა, მოსკოვში აგზავნის კონკურსზე; ფოტოებზე რუსთაველ მეტალურგთა და საბავშვო სახლელთა ცხოვრებაა აღბეჭდილი.

დედა ეკატერინეს სტუმარი დაავიწყდა. ორივენი სურათების გარჩევით გაერთნენ, კიდევ კარგი, ლილი ორაგველიძე შემოვიდა და თავისივე მოფიქრებული და დადგმული ცეკვის „ახალგაზრდულის" საჩვენებლად მიგვიწვია.

— ლილი მეცხრეკლასელია, უკვე მოსკოვის კულტურის დაუსწრებელ უნივერსიტეტში ჩავარიცხვინე. ახლა მათ დავალებას ასრულებს, პირველი თემა გაგზავნილი აქვს. პასუხს, მარტო მე და ლილი კი არა, მთელი საბავშვო სახლი ელოდება, ჩვენთან ასეა, ყველამ ერთმანეთისა ყველაფერი იცის.

... იმ ერთი ციცქნა ოთახის კედლებმა კიდევ უფრო გაიწია, მთელ საბავშვო სახლიანად. თავი კვლავ სსრ კავშირის შუაგულში ვიგრძენი...

...რამდენი ასეთი დღე, საათი, წუთი დაითვლება ეკატერინე კოსოვას ცხოვრებაში, მის დიდ პედაგოგიურ შრომაში განვლილი წლების მანძილზე.

ამ მეტად მგრძნობიარე და საქმის მოყვარული ქალისა და მისი მუყაითი პედაგოგიური კოლექტივის მიერ განხორციელებული აღზრდის სისტემა დადებითი ემოციის ფაქტორზეა აგებული. მას არავითარი წინააღმდეგობისა არ ეშინია. ყველაფერს საბავშვო სახლისათვის აუცილებელ და დიდ მასშტაბურ მნიშვნელობას ანიჭებს. ასწავლის და საფუძველს უყრის მოზარდი ადამიანის სიყვარულს, უფროსებს უნერგავს, იზრუნონ უმცროსებზე, არიგებს, ძლიერებმა არ დაჩაგრონ სუსტი, აჩვევს საკუთარი სიხარულისა თუ ტკივილის სხვისათვის გაზიარებას.

შინაურული, „არა დირექტორისეული" ხმით მომიბრუნდა. — მათთან მუშაობაში ძალიან მეხმარება სამხედრო-პატრიოტული აღზრდა. ეს ხომ თავისთავად გრძნობის აღზრდაა. ბავშვმა ცხოვრებაში ყველაფერი რომ შეიგრძნოს, ამიტომ კარგად უნდა იცნობდეს სამშობლოს, შეეძლოს მისი სიყვარული, მშობლიური მიწის, მისი ისტორიის სიყვარულის მეშვეობით გახდნენ ისინი შედარებით რბილნი, თბილნი, ენთუზიასტები.

ეკატერინე კოსოვა მათი მასწავლებელიც არის და ძიძაც, ოჯახურ სითბოს მოკლებული ბავშვები მასთან ისე მოდიან, როგორც დედასთან. თავიანთ ბავშვურ სიხარულსა და მწუხარებაზე დაუფარავად ეჩურჩულებიან... საოცარი სიძნელეებით არის სავსე საბავშვო სახლში საალმზრდელო-პედაგოგიური მუშაობა, მაგრამ ამავე დროს საინტერესო, ჰუმანური და კეთილშობილურია. 10-ზე მეტი ეროვნების 110 ბავშვი იზრდება აქ, სწავლით კი რუსთავის პირველ საშუალო სკოლაში სწავლობენ.

მისი და მისი კოლეგების მაყვალა ჯოხაძის, ტატიანა ილინას, ნატალია კანდაუროვას და სხვათა დამოკიდებულება ბავშვებთან ფორმით უბრალოა და ბუნებრივი, მაგრამ მნიშვნელობით რთული და მრავალმხრივი. აქ არის ჩართული თამაშის ელემენტები, ბავშვების მოზიდვის უებარი საშუალება, დედური სინაზე, რომელიც ასე სჭირდება პატარებს, მკაცრი მომთხოვნელობა, ურომლისოდ პატარა ოჯახშიც კი წარმოუდგენელია ბავშვის აღზრდა და დიდი ოჯახის დიასახლისის მაორგანიზებელი ძალა პედაგოგიურ კოლექტივზე.

აქ ყველა ერთმანეთის ცხოვრებით ცხოვრობს, სულგრძელნი არიან ერთმანეთის მიმართ. ყოველ წვრილმანზე ერთმანეთს არ ეკამათებიან. შეუძლიათ წყენის დავიწყება, გაჭირვების დროს ხელის გაწოდება...

თითოეული მოზარდის სულში გულმოდგინედ იწერება საბავშვო სახლის ცხოვრების მატიანე.

...საბავშვო სახლის ცხოვრებით დაინტერესებულთათვის დედა ეკატერინეს მუდამ გამოულევლად აქვს საინტერესო ეპიზოდები. აი ზოგიერთი რამ:

...ბავშვები მთელი ზაფხული თივას ამზადებდნენ. მოთიბულ ბალახს ტომრებით ეზიდებოდნენ. საბავშვო სახლის ეზოში თივის დიდი ზვინი დაიდგა. „წიქარასათვის" ნობათი ყველას შეგროვილი იყო. ერთ საღამოს წვიმა წამოვიდა, ბავშვები ღელავდნენ. ბალახი დასველდება, გაფუჭდება და წიქარა დაგვიწუნებსო. ეკატერინე ანდრიას ასულს გაახსენდა, რომ საწყობში ბრეზენტი ჰქონდათ. საწყობის გასაღები კი მნეს წაეღო, რომელიც ორი დღე არ გამოჩნდებოდა. ბავშვებმა დირექტორს გამოსავალი შესთავაზეს — ფანჯრიდან გადავძვრებითო.

ეკატერინემ ბიჭებს ნება დართო.

ორშაბათს, გაცხარებული მნეს ყვირილი მთელ საბავშვო სახლს ესმოდა. გზა რად უჩვენეთ, მე მატერიალური პასუხისმგებელი პირი ვარ!...

— „მე კი — მორალურად პასუხისმგებელი! ბავშვები განა თავისთვის ღელავდნენ. შეიძლებოდა მათთვის მხარი არ დამეჭირა? ისიც იციან, რომ რაც შენ საწყობში გაქვს, მათ ეკუთვნით, დარწმუნებული ვარ, არაფერი მოხდება. ბავშვებს ყულაბაც კი აქვთ შემოღებული, ქუჩაში ნაპოვნი კაპიკი რომ კაპიკია, ამ ყულაბაში ვარდება, ამ ფულით კი ღია ბარათებს ყიდულობენ. 70 ქალაქის 250 ვეტერანთან მიმოწერა არ წყდება..." არ დათმო მნესთან თავისი პოზიციები ოჯახის დიასახლისმა.

...მოზარდები აქ სხვადასხვა ბედს მოჰყავს. ზოგ ბავშვს წარსული საბავშვო სახლის კარებამდე მოჰყვება, ზოგს მთელი სიცოცხლის მანძილზე აჩრდილივით თანა სდევს... ერთმა გოგონამ საბავშვო სახლის აღმზრდელს შეჰბედა: — თქვენ შეგიძლიათ გამომასწოროთ?! იცით, რას ეუბნებოდნენ დედაჩემს? ეს საძაგელი გოგო სადმე შორს წაიყვანეთ და დაივიწყეთო. ამ გოგონას დედის მთავარი მიზანი თურმე მხოლოდ ნივთების შეძენა ყოფილა. სახლი ბროლითა და ავეჯითა აქვს გატენილი...

ავეჯს, ნივთებს ყიდულობენ, ამასობაში შვილებს კარგავენ. ასეთ ოჯახში ცოცხალი სულისათვის ადგილი არ რჩება. გოგონაც მისი მსხვერპლი იყო.

საბავშვო სახლში მისთვის ყველაფერი საინტერესო გახდა, რადგან აქ რაცა აქვთ, ყველაფერი სჭირდებათ; მას არც მაშინ გაუბრაზდნენ, როცა საწოლში ქუჩიდან მოყვანილ კატასთან ერთად მძინარეს მიუსწრეს. ეკატერინემ ფრთხილად აართვა კატა გოგონას და გაეხუმრა, ძილის რეკორდის დამყარება შეგძლებიაო. თუმცა მაინც არ შეარჩინა. შენს ადგილზე კაცი მალე სპორტის ოსტატი გახდებოდაო.

გოგონა მართლაც გახდა სპორტში თანრიგოსანი. მაგრამ ერთი წლის შემდეგ.

— . —

...მაშინ პატივცემულ ეკატერინეს სკოლაში ისტორიის გაკვეთილები ჰქონდა. ერთ დღეს, როცა გაკვეთილს ხსნიდა, ფანჯარასთან ეშმაკის ფეხად მონათლული გენკა გამოჩნდა; ბიჭუნა ხელს იქნევდა. აფორიაქებულ ეკატერინეს რაღაცას ანიშნებდა.

ქალს ძარღვებში სისხლი გაეყინა, შეცბუნებულმა ფანჯარა გამოაღო.

— საბავშვო სახლში ხანძარია? რაიმე უბედურება მოხდა? შესძახა გენკას შეშფოთებულმა.

ბიჭუნას ხმა ძლივს ისმოდა. — დედა ეკატერინე. კურდღლის ბოცვერები დაიბადა!

ასეთი პანიკისათვის გენადის მოკვლაც ცოტა იყო. ყოველ შემთხვევაში, ასე ეგონათ ოთახში მსხდომთ. დედა ეკატერინემ კი ერთი გულიანად გაიცინა, რა უნდა მექნა, გენკა მართალი იყო. ქვეყნად სიცოცხლე გაჩნდა. ბავშვმა გაიხარა და მეც მახარა. თანაგრძნობა ხომ უნდა გამეწია?

ბავშვს სიხარული მიანიჭო. ეს არის ყველას საზრუნავი, ამიტომაც აქვთ აქ პატარებს ალერსიანი თვალები, ამაყი გამოხედვა და გაბედულება.

...დიდი კოლექტივის მთავარი ღერძი შრომაა. მოზარდები მშობლიურ საბავშვო სახლს თვითონ არემონტებენ. მთელი ზაფხული მუშაობდნენ ოჩამჩირის რაიონის მოქვის თუ რუსთავთან ახლოს ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობებში, მუშებს ჩაის, ხილის კრეფაში ეხმარებოდნენ.

დედა ეკატერინე სიცილით განმარტავს.

— ამით სამ კურდღელს ვიჭერ. ბავშვები შრომას ეჩვევიან, სუფთა ჰაერზე კაუდებიან, ქრობის ახალ რძესა და ხილს განუსაზღვრელად მიირთმევენ, ხოლო გამომუშავებული თანხით შემდეგ მე-18 არმიის მარშრუტებით მოგზაურობენ.

...ახალი წლის დღე მუდამ სიხარულით არის სავსე. მოდიან სათამაშოებითა და ტკბილეულით ხელდამშვენებული შეფები, ქიმიური ბოჭკოს, მეტალურგიული მილმშენებელი, ლიმონათის ქარხნებიდან, სასადილოების ტრესტიდან, ქალაქის მთავარი საავადმყოფოდან. ყველაზე სასურველი სტუმარი კი პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი რ. გიორგაძეა, რომელიც დღესასწაულს საბავშვო სახლში მისვლით ულოცავს პატარებს. ასეთი ყურადღება პატარა სახლს პირთამდე ავსებს.

...მოგეხსენებათ ტრადიცია ყველაზე აუცილებელია საბავშვო სახლში... სიმფონიური მუსიკის დღე აქ პირველად რუსთავის მუსიკალური სკოლის მოსწავლეებმა დაამკვიდრეს. შაბათობით თვეში ორჯერ, სიმფონიური მუსიკის დღე ეწყობა. ასევე ყოველწლიურად თბილისში გენერალ კ. ლესელიძისა და უცნობი ჯარისკაცის საფლავზე გვირგვინები მიაქვთ.

თვის უკანასკნელი შაბათი „დაბადების დღეა". დედა ეკატერინე თავის მეუღლესთან, მეტალურგიული ქარხნის ინჟინერ ეკონომისტ ანატოლი ბოჩარიოვთან ერთად ანკესებით შეიარაღებული კვირაობით მთელ საბავშვო სახლს ბუნების წიაღისკენ მიუძღვის.

...საბავშვო სახლის კლუბი 120 კაცს იტევს. აქ „საღამოს ჩირაღდნებზე" ჯამდება მთელი დღის შედეგები, ხდება ახალმოსულის გაცნობა, დაბადების დღის მილოცვა, სწავლასა და შრომაში წარმატების აღნიშვნა. ასევე იმართება საუბარი წარუმატებლობის, დისციპლინის დარღვევის შემთხვევებზეც. სწორედ „საღამოს ჩირაღდანზე" მიეჩვივნენ ბავშვები სიტყვებით გამოსვლას. აქ გამოუმუშავდათ კოლექტივისადმი დამორჩილების უნარ-ჩვევები. ერთხელ ასეთი რამეც მოხდა. ჟურნალ „ვოსპიტანიე შკოლნიკოვის" მეოხებით ეკატერინე კოსოვას ბრიანსკელი პედაგოგი დაუკავშირდა; პედაგოგი კოლეგას თავის მოსწავლე ბიჭუნას მძიმე მდგომარეობას ატყობინებდა, თანაც თხოვდა, იქნებ რუსთავის საბავშვო სახლში მიიღოთო.

წერილი ბავშვებს დედა ეკატერინემ „საღამოს ჩირაღდანზე" წაუკითხა. გაიმართა კამათი, მსჯელობა, ბრიანსკელი პავლიკი, მიამსგავსეს რუსთაველ სერგოს, რომელიც სახლიდან გაქცეული მათთან პირდაპირ ქუჩიდან მოვიდა, თამბაქოს ეწეოდა, უხეშად იქცეოდა, ახლა კი ბიჭუნა კარგად სწავლობს და შრომობს!

— მივიღოთ! — იყო ბავშვთა კოლექტივის ერთიანი გადაწყვეტილება და მეორე დღეს პასუხი ბრიანსკში აფრინეს. ასეთი უფლებები აღსაზრდელთა შეგნებაზე, ფსიქოლოგიაზე უდიდეს გავლენას ახდენს.

...დაუვიწყარია ბავშვების მიერ საბჭოთა კავშირის გმირის ვლადიმერ ფაჩულიას ცხოვრების შესასწავლად გაწეული შრომა. ჯერ კიდევ 1973 წელს ბავშვებმა ერთ ძველ გაყვითლებულ გაზეთში ამოიკითხეს, რომ ვალოდია ლეგენდარულ მე-18 არმიაში მსახურობდა. მოძებნეს იმ წერილის ავტორი, მოსკოვში სამხედრო-პატრიოტული აღზრდის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი ტატიანა მიხაილოვა. იგი შემდეგ თვითონაც ესტუმრა რუსთავს. საბავშვო სახლში მისი რჩევით შეიქმნა მაძიებელთა ჯგუფები. ტატიანა მიხაილოვამ მათ მოსკოვიდან მასალები გამოუგზავნა. საძიებელი მუშაობით მთელი საბავშვო სახლი აენთო, მუზეუმისათვის მცირემიწელთა ბრძოლების ამსახველმა უამრავმა დოკუმენტმა მოიყარა თავი, მომზადდა კონფერენცია მე-18 არმიის ვეტერანთა სექციის თავმჯდომარის ვ. ზარელუას მონაწილეობით.



...ვლადიმერ ფაჩულიას დედის სახელზე საბავშვო სახლიდან ხშირად მიდიოდა წერილები; აღსაზრდელებმა იგი საბავშვო სახლის საპატიო დედად აირჩიეს; გმირის დედა სიხარულით დათანხმდა და თავისი სურათიც გამოუგზავნა წარწერით:

„ძვირფასო ბავშვებო, დიდი მადლობა ჩემი შვილის, მე-18 არმიის უშიშარი მზვერავის არდავიწყებისათვის. თქვენი რაზმეული მე-18 არმიის მეთაურის კ. ლესელიძის სახელობისაა. ამიტომ მე დიდ ბედნიერებად მიმაჩნია თქვენი საბავშვო სახლის საპატიო დედის სახელის უფლება.

ისწავლეთ კარგად, იყავით კეთილნი, ისეთი, როგორიც ჩემი ვალოდია იყო. გეხვევით, გკოცნით, თქვენი საყვარელი დედა აგრა ფაჩულია". (საბავშვო სახლში საპატიო ადგილზე ჰკიდია გმირი დედის სურათი).



...მღელვარე დღეები ჰქონიათ! მათ წერილს ლ. ი. ბრეჟნევმა უპასუხა. ეს მაშინ, როცა კვალისმაძიებლები მთელ საბჭოთა კავშირში „მცირე მიწის" მებრძოლებს ეძებდნენ. ბავშვებმა შემდეგ რუსთავში მოიწვიეს მოსკოველი ვეტერანები. ის პირველი კვალის მაძიებლები „მცირემიწელების" გენერალ კონსტანტინე ლესელიძის შვილის ოთარის მიწვევით ლესელიძის სახელობის სკოლა-ინტერნატში წავიდნენ სწავლის გასაგრძელებლად.

— ჩვენ ლესელიძელთა საკუთარი დინასტია გვეყოლება, ხარობს დედა ეკატერინე.

„ძვირფასო ბავშვებო!

დიდი მადლობა წერილისათვის, რომელშიც მწერთ თქვენი სასკოლო საქმეების, სამხედრო-პატრიოტული მუშაობის, საბრძოლო დიდების მუზეუმის შექმნის შესახებ. დიდია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების მნიშვნელობა, მახარებს, რომ თქვენ სამშობლოს წინაშე შვილური მოვალეობის მაღალი გრძნობით ბეჯითად ემზადებით, რათა ღირსეულად მიიღოთ მამა-პაპათა გმირული ესტაფეტა.



გისურვებთ წარმატებებს ცოდნის დაუფლებაში, შრომაში, სამხედრო-პატრიოტულ მუშაობაში, კეთილშობილურ წამოწყებათა განხორციელებაში. მხურვალედ გილოცავთ, ძვირფასო ბავშვებო, ღირსშესანიშნავ თარიღს — დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავს.

ლ. ი. ბრეჟნევი.
1975 წ. 7 მაისი.

ეს დიდი ყურადღება საბავშვო სახლელებმა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავის აღსანიშნავად საბრძოლო დიდების მუზეუმის შექმნისათვის დაიმსახურეს. აქ გამოფენილი დოკუმენტები მთლიანად მე-18 არმიის საგმირო საქმეებს ეძღვნება. ისინი იმ ხანებში დაუკავშირდნენ სსრ კავშირის 70 ქალაქს, იმოგზაურეს მე-18 არმიის მარშრუტით, შეაგროვეს ძვირფასი რელიქვიები.

* * *

... საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, ომის ვეტერანთა საკავშირო საბჭოს, მოსკოვის მე-8 საბავშვო სახლის მიწვევით მთელი საბავშვო სახლი დედაქალაქს ესტუმრა. რუსთაველები აქ შეხვდნენ ზოია კოსმოდემიანსკაიას დედას. გმირის დედამ საქართველოდან ჩასულ ბავშვებს აჩუქა წითელი ყელსახვევი წარწერით: „„გიყვარდეთ სამშობლო ისე, როგორც იგი უყვარდა ზოიას“.

იმ დღეებში დაუმეგობრდნენ ზოიას მეგობარსა და თანამებრძოლს ოლგა მოროზოვას“.

... ბავშვების, საბავშვო სახლის კოლექტივის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა 1977 წლის მაისში საბავშვო სახლს კოსმონავტი ვ. ი. როჟდესტვენსკი ესტუმრა. პირველად ბავშვები გაფართოებული თვალებით იჭვრიტებოდნენ ოთახში, სადაც ოქროსვარსკვლავიანი მფრინავი იდგა. იდგა და იღიმებოდა, „აი, ესეც მე!“ — უბრალოდ მიმართა ბავშვებს და მისი სიტყვები ვაშას ყიჟინამ დაჰფარა. ბავშვებმა სტუმარს საბავშვო სახლის ყოველი კუთხე-კუნჭული გააცნეს. კოსმონავტმა ნორჩებს „მცირემიწელთა“ მუზეუმი მოეწონა. საპატიო სტუმარმა საბავშვო სახლში დატოვა სამკერდე ნიშანი „შორეული ლაშქრობისათვის“, რომელსაც იგი კოსმოსში ატარებდა.

სტუმრის წასვლის შემდეგ ყველამ ფიცი დასდო, კოსმონავტი ვიქნებით. — იოცნებონ, სურვილი ჰქონდეთ — მოეწონა ეკატერინე კოსოვას ბავშვების გადაწყვეტილება.

... ეკატერინე კოსოვამ საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობას მოუთხრო საბავშვო სახლის პედაგოგიური კოლექტივის დაუღალავ მუშაობაზე... სწავლაში არცერთი ჩამორჩენილი არა გვყავს. ბევრია ოთხოსანი და ხუთოსანი. შრომას ვაჩვევთ; საბჭოთა მეურნეობებში გამომუშავებული გასამრჯელოს ნაწილს ბავშვები მშვიდობის დაცვის ფონდში გზავნიან, ხოლო დანარჩენს საბრძოლო დიდების ადგილებში სამოგზაუროდ იყენებენ. მან ყრილობას მაშინ ხელის შემშლელი მიზეზებიც მოახსენა, - ტიპიური შენობის უქონლობა, დამხმარე საშუალებების ნაკლებობა და ა. შ.

საბავშვო სახლის ბიოგრაფიას ყოფილ აღსაზრდელთა წერილებიც ავსებენ:

„დედა ეკატერინე, როგორ არის თქვენი ჯანმრთელობა. როგორ არიან ჩემი და-ძმები, საბავშვო სახლის თანამშრომლები? მიხარია, რომ მალე გნახავთ... არდადეგები მეწყება. მომილოცეთ, კომკავშირის რიგებში მიმიღეს!

დედა ეკატერინე, სულ ვფიქრობ ლილიზე, შურაზე. როგორ არიან? ხომ არ ავადმყოფობენ?“

მეორე ბარათის შინაარსსაც გაგაცნობთ. „წერილს პიონერთა ბანაკიდან გიგზავნით. როგორც კი თქვენი წერილი მივიღეთ, გოგონებმა მაშინვე ოთხი წერილი გაამზადეს. შალვაზე ნუ დარდობთ, ძალიან კარგად იქცევა, ვალოდია ტრეტიაკოვი კი ცელქობს, მაგრამ სულ კუდში დავსდევთ, ვეხვეწებით საბავშვო სახლის სახელი არ შეარცხვინოთქო“.

... საბავშვო სახლიდან წასვლის დროს დედა ეკატერინე თითოეულს თავის გულის ნაწილთან ერთად ერთ სამახსოვროს ატანს—ეს არი თავისებური დარიგება. სულის საგზალი, რომელიც აქ აღზრდილს მუდამ უნდა ახსოვდეს.

„... ნუ დაივიწყებ რუსთავში შენს მიერ დარგულ ხეებს, გახარებულ ყვავილებს, ბაღში შენს მიერ მოკირწყლულ ბილიკებს... გახსოვდეს სახლი, სადაც შენ ცხოვრობდი, ის დიდი ოჯახი, სადაც შენ გაიზარდე, ეს ხომ ბედნიერი, დაუბრუნებელი ბავშვობაა, ისეთი, რომელიც მხოლოდ საბავშვო სახლელებს აქვთ.

რატომ? — ოჯახში გაზრდილი, შინმობრუნებული ადამიანი წლების შემდეგ დიდ ცვლილებებს ხედავს, მშობლები მოხუცებულან, ან უკვე აღარ არიან, და-ძმები გაიზარდნენ, მორღვეულა ღობე, რომელიც ადრეულ ბავშვობაში ეზოს გადაღმა არ უშვებდა... საბავშვო სახლში მობრუნებულს კი ბავშვობა უბრუნდება. აქ ისევ გეხვდებიან პატარა და-ძმები — ოღონდ უკვე სხვა თაობა. თუ დაუკვირდები მათში აუცილებლად იცნობ შენთვის ნაცნობ სახეებს. ზოგჯერ ადრინდელი დირექტორი თუ აღმზრდელი არ დაგხვდება, არაფერია, აქ შენ ყველაფერი მოგაგონებს შენს იმ დირექტორს, აღმზრდელს, რომლის დროსაც აქ იზრდებოდი, რომლებმაც საბავშვო სახლიდან წასვლის დროს დიდი ცხოვრების გზა დაგილოცეს. მოვალეობა შეგახსენეს, საბავშვო სახლისა და მისი აღმზრდელების, სკოლისა და ქვეყნის წინაშე.

... და აი, შენ კვლავ შენს მშობლიურ კედლებში ხარ, სადაც ოდესღაც გულამოსკვნით გიტირია, ან კიდევ სიხარულისაგან გიცინია, თანატოლებს შენს პატარა საიდუმლოს უმალავდი.

აქ მობრუნებულმა შენს თავს უნდა ჰკითხო; რისი გაკეთება მოასწარი? რას მიაღწიე? რა შემატე ჩვენს ნათელ ცხოვრებას? ვის მიეშველე დროზე? ვისზე იზრუნე? შენ ხომ ჩვენთან ასე გასწავლეს! თუ არ გაგიკეთებია უსათუოდ შესასრულე. რომ სიამაყით შეგეძლოს კითხვებზე პასუხის გაცემა: კეთილსინდისიერად ვიშრომე! არასდროს გადამიდგამს ცუდი ნაბიჯი! ყოველთვის მახსოვს, რომ მარტო არა ვარ! ვიცი, რომ ჩემი, თუნდაც ერთი ცუდი საქციელი, შეცდომა საბავშვო სახლელთა შემდეგი თაობების ცხოვრებაში აღიბეჭდება.

საბავშვო სახლელს უფლება არა აქვს შეცდეს, შეეშალოს, მხოლოდ თავისთავზე იფიქროს.

ბედნიერი გზა გქონდეს, დიდი ოჯახის ადამიანო!

იყავი პატიოსანი, სამართლიანი, მამაცი, ყოველთვის გახსოვდეს ჩვენთან დადებული დაპირება, მას არასოდეს გადაუხვიო!“

* * *

... ძილის დროც მოვიდა. საბავშვო სახლის ყველა სარკმელში სინათლე ჩაქრა. ირგვლივ სიწყნარემ დაისადგურა, ეძინა დედა ეკატერინეს 110 შვილობილს, ასმეთერთმეტეს, ოთხი წლის იგორს — შინ, დედა ეკატერინეს საწოლის გვერდით. იგორ ვინოგრადოვის ძმა საბავშვო სახლში იზრდებოდა, როცა ბიჭუნას დედა გარდაეცვალა. ეკატერინე კოსოვამ უფროს ძმას თხოვნა შეუსრულა, სამხედრო სასწავლებელში მივდივარ, მინდა ჩემი ძამიკო იშვილოთ; დედა ეკატერინე, თქვენი შვილები ვიქნებით...

პატარა იგორი მისი ოჯახის ოფიციალური წევრი გახდა, იგი ეკატერინე კოსოვას მეუღლის ანატოლი ბოჩაროვისა და ორი შვილის დიდი მზრუნველობით იზრდება. მისმა შვილობილებმა ეს იციან!

... სასთუმალთან ნათურა აანთო. ყოფილ აღსაზრდელთა ბარათებს დასწვდა. უყვარს ეკატერინეს გვიან ღამით მათი გადახედვა... ბარათებს კი დიდი ოჯახის დიასახლისი დღეში რატომ ორმოცდაათამდეც არ იღებს!.. თბილისიდან — იულია ელბაქიძისა და თამარ ცერცვაძისაგან; იაროსლავიდან— ვიქტორ მინასიანისაგან; ალმა-ათიდან მხატვარ-დეკორატორ თამარ დავითაშვილისაგან; პეტროპავლოვსკის კამჩატკიდან — შორეული ნაოსნობის კაპიტან ავთანდილ ხიზანიშვილისაგან; სოხუმის აეროპორტიდან — ვალოდია ნედიაკინისაგან... შვილობილი 111 კი არა, ბევრად მეტი დაითვლება, რომლებსაც ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეში შეხვდებით. ისინი არ ივიწყებენ საქართველოში გადგმულ ფესვებს, რომლებიც მეტალურგთა ქალაქში აქვთ ჩაყრილი...

ნათელა ფაილოძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მარიჯანი

გარდაიცვალა მარიჯანი — მარიამ მარკოზის ასული ალექსიძე, ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე.

გარდაიცვალა 9 მაისს — მშვიდობისა და სიცოცხლის გამარჯვების დღეს, მზის, სიმღერების, ყვავილების დღესასწაულზე...

88 წელი ღრმად მოხუცებულობას ნიშნავს, მაგრამ საბედისწერო შემთხვევა რომ არა, ვფიქრობთ, ეს ასაკი ვერ დათრგუნავდა მარიჯანის ხალისიან ბუნებას — ის ხომ ხანდაზმულობაშიც ახალგაზრდულად ენერგიული და მშვენიერი იყო.

ბოლო წლები პოეტმა ქალმა სარეცელს მიჯაჭვულმა გაატარა, მაგრამ ბოლო დღეებამდე კალამი ხელიდან არ გაუგდია — წერდა და აქვეყნებდა ლექსებს. ვინ იცის, ამ წლებში, თავის ოცნებებთან მარტოდ დარჩენილი, რამდენჯერ დაბრუნებია წუთისოფლის გამოვლილ გზას 1890 წლიდან დღემდე.

მშობლიური ოჯახი, ბავშვობა; თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებელი; თბილისის უნივერსიტეტი (დაამთავრა 1922 წელს); პირველი ლექსის გამოქვეყნება (1916 წელი) და იმ დღიდან ლექსების ბეჭდვა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში; ლექსების პირველი კრებული (1921 წელი), შემდეგ პოემა „ნელი ცირკში“ და ლირიკული და საბავშვო ლექსებისა და მოთხრობების კრებულები: „ბედნიერი თაობა“, „გელა“, „ზურა ატმის ქალაქში“, „პარაშუტი“, „ჩვენი ეზოს ბავშვები“, „მამიდა თეოს მარანი“ და სხვა, ცნობილი რუსი პოეტების ლექსების, პიესების თარგმნა...

აგონდებოდა მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექციაში მდივან-კონსულტანტად მუშაობის 20 წელი, ან ახალბედა მწერლებთან მუშაობა, ახალაღმოჩენების სიხარული...

და საერთოდ რამდენი რამ ჰქონდა მოსაგონარი: მოგზაურობები, ლიტერატურული საღამოები, შეხვედრები სკოლებში, პიონერთა ბანაკებში; სსრკ მწერალთა კავშირის ყრილობები; ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადები მოსკოვში, უკრაინაში...

აგონდებოდა შორეული მეგობრები: ოლგა ფორში, მარიეტა შაგინიანი, ზინაიდა ალექსანდროვა, პავლე ანტოკოლსკი, სერგეი მიხალკოვი...

აგონდებოდა უახლოესი მეგობრების გვერდით გატარებული დღეები, წლები და ტკივილით იტყოდა ხოლმე: „ყველა წავიდა, ყველა შემომეცალა, მეუხერხულება კიდეც, რომ ცოცხალი ვარ“...

აგონდებოდა, როგორ აადგმევინა ფეხი და ცხოვრების დიდ გზაზე გაიყვანა საკუთარი შვილები დღეს სახელმოხვეჭილი, ცნობილი ხელოვანნი: დიმიტრი, ირინე, ნელი ალექსიძეები და ასევე სახელოვანი შვილიშვილები, რომლებიც უდავოდ მარიჯანის ნიჭითაც არიან მიმადლებულნი.

დიახ, ბევრი რამ ჰქონდა მოსაგონარი პოეტ ქალს, რომელმაც ლამაზად, შინაარსიანად იცხოვრა, გულმხურვალედ ემსახურა საერთო საქმეს — განსაკუთრებით ახალგაზრდობის აღზრდას, თავისი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის საგანძურში და წარუშლელი კვალი დატოვა მშობლიური ხალხის სულიერ ცხოვრებაში.

ბევრი რამ ჰქონდა მოსაგონარი შესანიშნავ ქალს — პოეტს, მოღვაწეს, დედას, მოქალაქეს...

...და ერთ დღეს შეწყდა ის ლამაზი ცხოვრება, ოცნებები, მოგონებები.

ეს მოხდა 1978 წლის 9 მაისს მზის, ყვავილების, სიმღერების ზეიმზე, მშვიდობისა და სიცოცხლის გამარჯვების დღესასწაულზე.

მოგონებების ის ნაკადი ახლა ჩვენს გულებზე მოედინება — მისი ნიჭის პატივისმცემლების, მისი წიგნების მკითხველების, მისი შვილების, მახლობლების, მეგობრების გულებზე...

და დგას ამ მოგონებებში ნაქანდაკარი მშვენიერი პოეტი ქალი, მუდამ ხალისიანი, მომცინარე, შთაგონებული და თავის ბოლო ლექსში — მისი გარდაცვალების ოთხი დღის წინ რომ გამოქვეყნდა, — გვეკითხება:

„იქნებ ჩემს მკითხველს კიდევ ვუყვარდე?
მაშინ წარსულზე აღარ ვიდარდებ...“
(„მე ის ვარ, რაც ვარ“)

ეს დაექვება, უდავოდ, მისი ბოლო წლების ცხოვრების წესით იყო გამოწვეული— მუდამ მოძრავი, მოქმედი, სიცოცხლისა და ადამიანების ტრფიალი, საზოგადოებრივი ცხოვრების ღელვაში ჩართული, უეცრად რომ მოსწყდა ყველაფერს და ოთხკედელშუა გამოიკეტა...

სამწუხაროდ, ადამიანები ველარ გრძნობენ, რა ხდება თავიანთი სიკვდილ-სიცოცხლის გზის გასაყართან.

არც მარიჯანს უგრძვნია, როგორ გაატარეს უკანასკნელად თავისი საყვარელი თბილისის ქუჩებში, როგორ მიუჩინეს ადგილი ქართველ მწერალთა დიდუბის პანთეონში თავისი საყვარელი მეგობრების გვერდით და არც თავისი ნიჭის პატივისმცემლების — მისი მკითხველების, მეგობრების, მახლობლების, შვილებისა და შვილიშვილების დამწუხრებული სახეები დაუნახავს...

თუმცა, — ეს უკვე სიკვდილ-სიცოცხლის ბრძნული კანონია — სხვაგვარად სიცოცხლესთან გაყრა კიდევ მეტად გაძნელდებოდა... და განისვენებს ახლა ქართველ მწერალთა მყუდრო სავანეში, ვალმოხდილი მარიჯანი.

დაე მსუბუქი, კეთილი და თბილი იყოს მისთვის სათაყვანებელი დედა-თბილისის მშობლიური მიწა.

მარიკა ბარათაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი გეგეჭკორი

# „ბავშვებთან მივალ ტკბილითა"



1915 წელს ვაჟა ფშაველა ეხმაურება ეკატერინე გაბაშვილის წერილს, რომელშიც მწერალი ქალი საზოგადოებას მოუწოდებს, აღნიშნონ შიო მღვიმელის მოღვაწეობის 30 წელი. ვაჟა აღნიშნავს, შიო მღვიმელს ამ 30 წლის განმავლობაში თანამოძმეთაგან ერთი გულთბილი, გამამხნევებელი სიტყვაც კი არ გაუგონიაო. კაცი არ გამოჩნდა, მისი ღვაწლი ღირსეულად დაეფასებინა და ეთქვა: შიო მღვიმელი ნიჭიერი მწერალიაო. ყველანი პატარა კაცად თვლიან და ის კი არ იციან, რა ძალიან დიდი კაციაო. რადგან „ჟინც ბალღებს კეთილგონიერად ზრდის, იგია აღმზრდელი და გამაბედნიერებელი ერისა. საბავშვო მწერლობა მხოლოდ ღვთიური ნიჭით მირონცხებულ და სულით მდიდარ კაცს შეუძლიაო".

შიო მღვიმელი ბავშვებისათვის მოვიდა ამ ქვეყანაზე, რომ მათთვის თავისი მდიდარი სული გადაეშალა და ამიტომ მისი ნიჭის დაუფასებლობა ან უსამართლობა ვერას დააკლებდა. ბავშვის თვალებში გაელვებული სიხარულის ნაპერწკლები ყველაფერს უნაზღაურებდა და ყველაფერს ავიწყებდა. აკი თვითონვე ამბობს ერთ ლექსში: „ცუცუნცუკუნებს დავშორდი მოკლე ხნით, ერთი კვირითა, რაც მათი სიყვარული მაქვს, ვიცი, ვერ ვზიდავ ვირითა... რაც უნდა შხამი შევჭამო, — ბავშვებთან მივალ ტკბილითა". ხოლო მეორე ლექსში ასე ამბობს: „ყურს არ ვუგდებ ქაჯ-ეშმაკებს, ჭინკებსა და ზღაპრულ დევებს, მუდამ თქვენი სიყვარული მამხნევებს და მასალკლდევებს..." ბავშვებზე ფიქრი და ბავშვებისათვის წერა იყო მისი ცხოვრების ერთადერთი აზრი, რადგან მომავალი თაობა საძირკველია ერისა. იგი ასე ეფერება პატარებს (აქვე უნდა ითქვას, რომ იგი არასოდეს ენას არ უჩლექს ბავშვებს და მუდამ ისე ესაუბრება, როგორც ტოლი ტოლს): „ჩემო პატარა ცელქებო, ჩემო ვარდნო და იებო, ტკბილ ენით მოჭიკჭიკენო, ლამაზო დილის მთიებო..."

შიო მღვიმელისათვის ბავშვები და მათი სამყარო იყო თავშესაფარი და ხსნა. და ეს ხსნა და თავშესაფარი სოფელი იყო. იგი ერთ ლექსში ასე წერს: „სიცხეს და პაპანაქებას, სიმყრალეს ქალაქისასა გამოვეცალე, მოვმართე ლაღსა ბუნებას მთისასა, გამოვერიდე ავსულთა, გესლიან ენას მტრისასა..." „როგორც მე-19-ე საუკუნის სხვა პოეტების საბავშვო ლექსებში, შიო მღვიმელის ლექსებშიც მოქმედება მხოლოდ სოფელში სწარმოებს. შიო მღვიმელი აგრძელებს ქართული საბავშვო პოეზიის ტრადიციულ ხაზს — იგი იმეორებს და ამდიდრებს ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას, იაკობ გოგებაშვილის, რაფიელ ერისთავის, ნიკო ლომოურის საბავშვო ლექსებისათვის დამახასიათებელ ტენდენციებსა და მისწრაფებებს.

ალბათ არავის არ ექნება ამდენი ლექსი გაზაფხულზე, ზაფხულზე, შემოდგომაზე, ზამთარზე, ამდენი კალოსპირული, ამდენი ლექსი იაზე და ენძელაზე... ამის მიზეზი ისიც არის, რომ მისი ლექსები იმდროინდელ საყმაწვილო ჟურნალებში იბეჭდებოდა და ბევრი ლექსი დაკვეთით იწერებოდა. განა შეიძლებოდა საბავშვო ჟურნალი გამოსულიყო და შიო მღვიმელის ლექსი არ ყოფილიყო დაბეჭდილი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიო მღვიმელის მუქყავისფერყდიან წიგნს (1937 წ. გამოცემა), რომელსაც ახლაც დიდი რუდუნებით ვინახავ და რომლის ყვითლად და ყავისფრად აჭრელებულ სუპერზეც ბავშვები მცენარეებსა და ცხოველებს ხელით ესალმებიან, მე ომით შეშფოთებულ და ნახევრად მშიერ ბავშვობის წლებში, თეთრად შეღებილ ფანჯრის რაფაზე ვკითხულობდი. ფანჯრის თხელი ფარდის მიღმა ბელურები ისხდნენ და ჭიკჭიკებდნენ, ხოლო აქეთ, ფანჯრის რაფაზე ბავშვის სულში იხედებოდა დიდბუნებოვანი და კეთილი კაცი, რომელიც ჩემს დაპურებას სულიერი საზრდოთი ცდილობდა, ცდილობდა, რომ ყველაფერი დამევიწყებინა და ჰაერში ბელურასავით ავჭრილიყავი.

შიო მღვიმელის წიგნი ბავშვს აგვისტოს მიწურულში მიტოვებული სოფლის მონატრებას მიმძაფრებდა. სოფლის ოთხივე დრო თვალწინ მეხატებოდა. ჩემი სოფელი თითქმის ჯერ კიდევ ის სოფელი იყო, რომელიც შიო მღვიმელის ლექსებშია აღწერილი. ჯერ კიდევ ხელით სთესდნენ, ხელით მკიდნენ და კალოზეც ჯერ კიდევ კევრი ტრიალებდა...

ჩემს ბავშვობაში, როდესაც ამ მუქყავისფერყდიან წიგნში „ერთი ხორბლის თავგადასავალს", „პაწია მერცხალს", „კოწოს და კუწოს", „ობოლს" ან „შოშიას" ვკითხულობდი, ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე იმ სკამზე დავჯდებოდი, რომელზეც შიო მღვიმელი ჯდებოდა ხოლმე და იმ საწერ მაგიდაზე გავშლიდი ჩემს ფურცლებს, რომელზეც ბავშვების ეს მესაიდუმლე შლიდა (ეს საწერი მაგიდა, კარადა და ბუფეტი კავთისხეველი ხელოსნის კავთიაშვილის ნახელავი ყოფილა და შიოს მეუღლეს ანეტას მისი საფასური ნაწილ-ნაწილ ორმოცდაათი მანეთი გადაუხდია).

მაგიდაზე იდო თხელი შუშა, რომელსაც შიო მღვიმელი სამელნედ ხმარობდა, ხოლო კარადის შუშაში იმზირებოდა შიო მღვიმელისა და მისი მეუღლის სურათი. ჩემს წარმოდგენაში ნელნელა ცოცხლდებოდა ხამი შალის ხალათიანი, ჭაღარაწვერულვაშიანი კაცი, რომელიც ამ მაგიდასთან მდგომი დილით სიხარულითა და თრთოლვით უკითხავდა ცოლსა და თავის გოგონებს ღამით დაწერილ ლექსს; ცოცხლდებოდა ჩუმი და თავმდაბალი კაცი, რომელიც, სანამ ამ მაგიდასთან დაჯდებოდა სამუშაოდ, მაგიდას მიალაგებდა, მელნის პატარა ბურთულებს წყალში გახსნიდა და თხელ სამელნეში ასხამდა, ხოლო შინიდან მანამ არ გავიდოდა, სანამ ტანისამოსზე ჯაგრისს არ გადაისვამდა და კალოშებს ვაქსით არ გააპრიალებდა.

ჩემს წარმოდგენაში ნელნელა ცოცხლდებოდა კაცი, ვისთანაც ქალაქში საახალწლოდ ჩამოსული ვაჟა თავშექცევით ერთ ლოგინში წვებოდა და ვისაც რაზიკაშვილები, რაკი უფროსი ძმა აღარ ჰყავდათ, მეხუთე ძმას ეძახდნენ. მე თითქოს თვალნათლივ ვხედავდი, როგორ შედიოდა იგი ქართული გიმნაზიის შენობაში მოთავსებულ საავადმყოფოს პალატაში, სადაც დასუსტებული ვაჟა სიკვდილს ებრძოდა, ხოლო მეზობელი ოთახიდან დაჭრილი ჯარისკაცების სიმღერა ისმოდა. მე თითქოს ვხედავდი, როგორ მოჰქონდა მოსკოვის ქუჩის მაღლა მდებარე კლდიდან ნაყური შიო მღვიმელს, რომ მთის წყალს დანატრებულ ვაჟას დაელია.

გიორგი ლეონიძის წყალობით ჩვენ ბევრი რამ ვიცით შიო მღვიმელის ცხოვრებისა და შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ის მძიმე და ეკლიანი გზა, რომელიც მან გაიარა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში. ის ალბათ თავის წარსულზე ფიქრობდა ხოლმე; რადგან, მისი ქალიშვილების გადმოცემით, ხშირად მჯდარა გარინდებული და მოწყენილი.

გარინდებული პოეტი შეჰყურებდა ბავშვს, რომელიც ჯერ ქართლის პატარა სოფელ ბრეთში, ხოლო შემდეგ კახეთის სოფელ შილდაში დარბოდა და სიღნაღში მიხვეულ-მოხვეული გზებით მიმავალს მთვარე ხან მარცხნიდან უღიმოდა და ხან — მარჯვნიდან. ამ ბავშვმა ადრე განიცადა ობლობის ვაება და კიდევ კარგი, რომ კეთილმა ადამიანებმა გაუწოდეს დახმარების ხელი. გარინდებული პოეტი შეჰყურებდა ხელმოკლე ახალგაზრდას, რომელიც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში გამყიდველად, ხოლო შემდეგ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში კორექტორად მუშაობდა და კორექტურის კითხვამ მხედველობა დაუქვეითა.

გარინდული პოეტის მოწყენილობის მიზეზი, რა თქმა უნდა, ისიც იქნებოდა, რომ სიკვდილმა მეგობრები ნელნელა შემოაცალა. გარდა ამისა, იგი ყოველდღიურმა წვრილმანმა და საფიქრალმა მეტისმეტად მოქანცა. ჩვენს ახალგაზრდა ქვეყანას თავისი არსებობის პირველ წლებში უჭირდა და, ბუნებრივია, შიო მღვიმელს მრავალრიცხოვანი ოჯახის რჩენა გაუძნელდებოდა. სწორედ ამიტომ აწერინებდა გიორგი ლეონიძე (ვაჟი მისი სიყრმის მეგობრის ნიკო ლეონიძისა) შიო მღვიმელს მოგონებებს ვაჟა ფშაველაზე, ალექსანდრე ყაზბეგზე, იაკობ გოგებაშვილზე, რომ ჰონორარით ხელი გაემართა.

რა თქმა უნდა, ბევრი რამ შეიძლება მოხდეს, ბევრი რამ შეიცვალოს, გაცვდეს და გადაფასდეს, მაგრამ ქართველი ერის ხსოვნაში ვერ გაქრება სახელი შიო მღვიმელისა, რომელმაც თავი ქართველი ერის მომავლის — ბავშვების სულის განწმენდას შესწირა და იგი იქნება იმ ძვირფას აჩრდილთაგანი, რომლებიც, გიორგი ლეონიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, სიცოცხლეში მხოლოდ სულის ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის ილვწოდნენ.

შიო მღვიმელს შიოს სახელი ბედმა არგუნა—იგი საქართველოში მოსულ ათორმეტ მამათაგან ერთ-ერთი მამის წმინდა შიოს ხსენების დღეს დაიბადა. მღვიმელი ფსევდონიმად ნიკო ლომოურმა უბოძა („ის ბერიც შენსავით წყნარი იყოო"), ხოლო ქართველი ბავშვების სულიერი მამობა — მისმა საბავშვო პოეზიამ.

შიო მღვიმელი

## პაწია მერცხალი

მე პაწია მერცხალი ვარ,
მოჭიკჭიკე, მოალერსე;
ნეტავი რა დაგიშავე,
ქვებს რომ მესვრი, ბიჭო სესე?!
სიყვარულით, სიხარულით
მთები, ზღვები გადმოვლესე,
სანამ შენთან მოვიდოდი,
ერთხელაც არ დავიკვნესე.
შორით თვალებს გიკოცნიდი,
ცის ლაჟვარდში ვსრიალებდი,
ვჭიკჭიკებდი, შეგამკობდი,
სულ შენ შემოგტრფიალებდი.
ცხრამთა გზიდან მომავალი,
მოქანცული, მოღალული
დაბლა-დაბლა ვეშვებოდი,
შენ გეძებდა ჩემი გული.
აი, მოველ, დაგინახე,
გულში ია-ვარდი ვთესე,
ავჭიკჭიკდი უფრო ტკბილად,
ხმები გავიუკეთესე.
გეფიცები და-ძმობასა,
მხოლოდ ახლა დავიკვნესე.
არ გრცხვენია, უმიზეზოდ
ქვებს რომ მესვრი, ბიჭო სესე?!

## ცელქები

შეხეთ ცელქებს, როგორ ჩუმად
მიჰპარვიან მაწვნის ქილას,
ყური უგდეთ, რა ხალისით
ეუბნება ვანო ილას:
— ამოვუსვათ, ამოვტვლიპოთ,
რას გაგვიგებს ბებიაო,
შემდეგ მურით მოვითხუპნოთ
ცხვირ-პირი და ყბებიაო.
თუ ფისუას დააბრალეს,
რა სეირი იქნებაო!
ჩვენ რომ არა შეგვატყონ რა,
შენ ნუ გაგეცინებაო!

## შემოდგომა

ცა იღრუბლება საწვიმრად,
ისმის ზუზუნი ქარისა,
ტყე დაღვრემილა, ყვითლდება
სიმწვანე მთა და ბარისა.
მზე იმალება, მარტოკა
ღრუბლებსღა ვხედავთ ცაზედა,
და აგერ, შემოდგომის დღეც
მოგვჩერებია კარზედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემი ბავშვობის გულთამხილავი

1942-43 წლებია. მეორე მსოფლიო ომის სუსხს გარიდებული გოგო-ბიჭები, შიშით გაფართოებულ თვალთა გუგებში ჩუმი ნაღველი რომ ჩაგვდგომია, საბავშვო სახლის სააქტო დარბაზში ვსხედვართ.

მშვიდად ღუღუნებს თუნუქის ღუმელი.

გარეთ ჩვეულებრივი, კოჯრული ზამთარია, თოვლჭარბი, ქარ-ყინვიანი. მოკლედ შეჭრილი თმითა და მსგავსი ტანსაცმლით ერთი ოჯახის შვილებივით ვგავართ ერთმანეთს.

აღმზრდელი ქალი ლექსებს გვიკითხავს. ბევრი ხმარებისგან გაცრეცილი, თხელი წიგნი ფალასივით გადაუფენია მარცხენა ხელის გულზე, მარჯვენათი ფურცლავს და თან ცალი თვალით მალიმალ გამოგვხედავს.

„— ჰეი, ბიჭო, ბიჭო წკიპავ, გახსოვს ბებომ რომ გაგწკიპა? — ვაშლის ქურდი დედის კალთას ამოეკარ, როგორც ტკიპა. — შე ნაბიავ, მერე მაგას ვინა მალავს, ვინა ჩქმალავს, თუ აგრეა, შენ კი ჩემზე ცოტა რამე მოგიპარავს?!“

შრიალებს წიგნი და ჩვენთვის ესოდენ ნაცნობი ოინბაზობისა და ეშმაკობასიცელქის გახსენებით ბავშვურ მოწყენილობას ისევე ნელინელ გვიფანტავს, როგორც მონისლულ სივრცეში მზის გამონათება.

ძია შიოს გულის შუქის ნაკადი ეცემა დროებით მივიწყებულ სახეებს, მტვერწაყრილ საგნებს, თითქოს თვალით უხილავსა და ხელშეუხებს, მაგრამ მრავალჯერ განცდილსა და შთამბეჭდავს...

„თეთრად გაუდის ქათქათი მთისმოღერებულ ყელებსა“, — კითხულობს თმაჭაღარა ქალი და მე რატომღაც ჭიატა თოვლით გადაბარდნილი მთაწმინდის კალთები მაგონდება. „ველში ია ამოვიდა, მიიხედა-მოიხედა, — მწყურიაო.. ჩუმადა თქვა, დაძახება ვერ გაბედა“.

ცვარნაპკური იის სურნელით იჟღენთება ჰაერი. გაზაფხულის მახარობელი მერცხლები და ტოროლები ფრთებს მკერდზე გვიფათქუნებენ და უეცრად ისე, როგორც ზღაპრებში, ქრება დროისა და ადგილის შეგრძნება. თვალუწვდენ ჰორიზონტებად იშლება გარემო. ჩვენც ამ ჯადოსნური ლექსების გმირებივით ხან მკაცრი ზამთრის ჟინიანობას ვეტოქებით, ხან პაწია მერცხლებად ქცეულნი გულქვა ბიჭს ვევედრებით: „ნეტავი რა დაგიშავე, ქვებს რომ მესვრი ბიჭო სესე?!“ ობლის გულისტკივილი ხომ ჩვენთვის იმდენად საცნაურია, რომ ცრემლს ვეღარ ვმალავთ. ამ ცრემლს კი მაშინვე აღმზრდელისავე ეშმაკობით წარმოდგენილი „ცელქების“ მხიარული ლექსი და სიმღერა წამით თუ შეგიმსუბუქებს სატკივარს. ბავშვური სული სანთელივით რბილი და სათუთია.

ალბათ, სწორედ ამიტომაც მოხდა, რომ იმ წიგნიდან ყველაზე მეტად „ობოლი“ და „ზამთარი“ დამამახსოვრდა. „ობოლს“ ვმღეროდით კიდეც, რადგან იმხანად, ეს ლექსი, ჩვენს გუნება-განწყობას ესადაგებოდა.

„დანაღვლიანდა ქვეყანა, ჩადრი მოისხა არემა, მზემ დაგვიძვირა სხივები, შემოიმაღლა მთვარემა. ქარი ქრის, ქრის“...

ღუმელში თანდათან ილეოდა შეშის ნაპობი. იმ ღუმელის გამურული კარის ღრიჭოდან უკანასკნელად გვიკრავდა თვალს ნაცარში მინავლული ნაღვერდალი. გარეთ კი უფრო და უფრო მძლავრობდა ქარი. ჩვენ ძია შიო მღვიმელის სულიერი საზრდოთი დანაყრებულნი ვტოვებდით ცივ დარბაზს, ზანტად მივაბიჯებდით ნახევრად ბნელ დერეფანში საწოლი ოთახებისკენ და თან ვჩურჩულებდით: „არ შეგვიშინდე პაპილო, გული ნუ დაგიწყლულდება, თოვლი დადნება საცაა და მალე გაზაფხულდება“. მართლაც მალე დადგა ნანატრი გაზაფხულიც. საბავშვო სახლის აღსაზრდელებს დიდი სიხარული ეწვიათ. ზოგს ომგადახდილი მამა დაუბრუნდა, ზოგი ახლონათესავებმა მოიკითხეს. ჩვენ — მე და ჩემი დეიდაშვილები ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე წაგვიყვანა ბებიამ. მცირე ხანს ვიყავით კოჯრის საბავშვო სახლში, სადაც აღმზრდელ-პედაგოგად ქვრივი დეიდა მუშაობდა. დეიდას დედის სუნი უდისო, ტყუილად როდი უთქვამთ. მისმა მშობლიურმა სითბომ და ალერსმა მრავალჯერ გადაგვყარა გულზე შემოწოლილი ბავშვური დარდი. მაინც ლამაზად დამამახსოვრდა ის დღეები, ღრუბლიანი, ცივი დღეები.

ნაადრევად მინავლებული თუნუქის ღუმელი... და რაც მთავარია, გაცრეცილი, თხელი წიგნი, ძია შიოს გულთამხილაობით გასხივოსნებული.

**გივი ჭიჭინაძე,**
საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი.

## ზინა სოლომნიშვილი

* * *

— ალუუ
ალუოო —
ღუღუნებს ია
და უხარია
ჩირგვის აკვანი...
უშველებელი
მწვანე მინდორი
ჰკოცნის შვილივით
იას აყვანილს,
უი, ქა!.. კაციო —
ტიტველა წყარომ
თქვა და
მოჰკურცხლა
კისკის-ხარხარით.

* * *

ყელამდე სწვდება
მინდორს ყვავილი,
ტყეს მოსდებია
მწვანე ხანძარი...
და მატრაკვეცა
თეთრი ასკილი
აჰფოფხებია
ტყემალს
თხასავით...

* * *

მთას მისდევს
მწვანე დღეთა ნაზირი
და გაშმაგებით
ვკოცნი ალვისტანს...
ისე ნორჩია

დღე რომ, სიცოცხლე
მინდა დავიწყო
ისევ თავიდან...
ისე მიყვარხარ,
მიწას ბურთივით
ავიტაცებ და
ცაში ავიტან!
გამიშვი ბიჭო! —
უთხრა მზემ ხვეწნით
და გამოუსხლტა
ღრუბელს მკლავიდან.

## შემოდგომა

ბაყბაყა ქვევრნი მთელ ზვრებს შეხვრეპენ
მარნებს შეასკდეს მთვრალი დღე ლამის...
შემოჰფხრეწია ლამე ცხელ მხრებზე
და გაგიჟებით ჰყვავის თელავი.
ჭიკჭიკი წასკდა ტყეს ენააცრილს,
მზეს დედოფლობის დარჩა უფლება;
ლამაზებს ხედავს მოხუცი კაცი
და ენატრება გაჭაბუკება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი ინტერვიუ

# ძიებანი და შედეგები

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციაში წერია: „**სოციალიზმის დროს საზოგადოების წარმოების უზენაესი მიზანია, რაც შეიძლება სრულად დააკმაყოფილოს ადამიანთა მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები.**

**სახელმწიფო ეყრდნობა მშრომელთა შემოქმედებითს აქტიურობას, სოციალისტურ შეჯიბრებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს, სრულყოფს ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის ფორმებსა და მეთოდებს და ამით უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდას, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებას, სახალხო მეურნეობის დინამიკურ, გეგმაზომიერ და პროპორციულ განვითარებას**“.

დავინტერესდით, როგორ ხორციელდება ეს პრინციპები გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატში.

ეს კომბინატი 1951 წელს ამუშავდა. მის წილად მოდის საქართველოში გამოშვებული ბამბის ქსოვილების დაახლოებით 90 პროცენტი. კომბინატი ბამბეულის ქსოვილებით ამარაგებს რესპუბლიკის სამკერვალო საწარმოებს და სავაჭრო ორგანიზაციებს. გორული ქსოვილები სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკაში იგზავნება. შარშან კომბინატმა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 100,1 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადამეტებით 24 ათასი მანეთის ნაწარმი გამოუშვა, შრომის ნაყოფიერება 6,2 პროცენტით გაზარდა.

მეათე ხუთწლედის მესამე წელს გორელმა ფეიქრებმა ახალი, გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს. 1978 წელს რეალიზებული იქნება 15 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. სახელმწიფო ხარისხის ნიშნით გამოუშვებენ 1 500 000 მეტრ ქსოვილს. ზეგეგმური მოგება 20 ათას მანეთს მიაღწევს.

წარმოებაში დაიდგმება 200 მაღალმწარმოებლური დაზგა-დანადგარი. 7 ოქტომბრისათვის 12 ბრიგადა შეასრულებს 1978 წლის დავალებას.

ფეიქრებმა იციან სიტყვის ფასი: წლეულს I კვარტალში გეგმის გადამეტებით 30 600 მანეთის საერთო პროდუქცია გამოუშვეს. რეალიზებულია 100 800 მანეთის ქსოვილი.

გთავაზობთ ინტერვიუს კომბინატის წარმომადგენლებთან.

**კითხვა: რით ახსნით იმ მდგომარეობას, რომ კომბინატი საერთო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმებს წარმატებით ასრულებს, ხოლო მზა პროდუქციის გამოშვების ორი წლის დავალებას 5.873 ათასი მეტრი ქსოვილი დააკლო?**

**გ. შარიქაძე — კომბინატის დირექტორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი:** სწორი შენიშვნაა. 1976-77 წლებში მზა ქსოვილი 5 873 000 მეტრით ნაკლები გამოვუშვით, რადგან ვერ შევასრულეთ ხამი ქსოვილების გამოშვების გეგმა. ეს კი საქსოვი დაზგების მოცდენის, მუშახელის ნაკლებობის ბრალია. კომბინატმა საერთო პროდუქციის გამოშვების და რეალიზაციის გეგმების შესრულება მხოლოდ ასორტიმენტის შეცვლით, ქსოვილის ხარისხის გაუმჯობესებით და მზა ქსოვილის დამატებითი დამუშავებით შეძლო, რაც ზრდის საბითუმო ფასებს. მართალია, მზა ქსოვილების გეგმა რაოდენობრივად ვერ შესრულდა, მაგრამ მზა ქსოვილის გამოშვების გეგმა თანხებში გადაჭარბებით შევასრულეთ (1.303 000 მანეთი);

**კითხვა: არსებობის 27 წლის მანძილზე კომბინატს ბევრი სიძნელე ჰქონდა, სპეციალისტები არ გყავდათ, წარმოების კულტურა დაბალი იყო, მატერიალური და მორალური სტიმულირების საკითხები ჯეროვნად არ ფასდებოდა; სამრეწველო პერსონალის რიცხვი უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე თითქმის არ გაზრდილა. მაშ, რით ხსნით წინსვლას?**

**გ. შარიქაძე:** საერთო აღმავლობაში დიდიდი როლი შეასრულა შრომის სწორმა ორგანიზაციამ, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებამ, შრომის დისციპლინის განმტკიცებამ, მოცდენების მინიმუმამდე დაყვანამ, წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფამ, ახალი ტექნიკის დანერგვამ, მანქანა-დანადგარების მოვლისა და გამოყენების გაუმჯობესებამ. უკანასკნელ ხუთ წელიწადში 2 200-დე ძველი მანქანა-დანადგარი შეიცვალა. მიღებულ ეფექტიანობას მოწმობს ის ფაქტი, რომ მარტო ორი სახამებელი მანქანის შეცვლამ 12 ათასი მანეთის ეკონომიკური ეფექტი მოგვცა. ამ გზით შარშან 152.000 მანეთის ეკონომიკური ეფექტი მივიღეთ. 1977 წელს წარმოებაში ნოვატორთა 228 რაციონალიზატორული წინადადება დავნერგეთ, რამაც 186.800 მანეთის ეკონომია მოგვცა. ეს 31 ათასი მანეთით მეტია 1976 წლის ეკონომიაზე.

მნიშვნელოვნად შემცირდა მუშათა დენადობა, რაც წინა წლებში საწარმოს ჩამორჩენის მთავარი მიზეზი იყო. ახლა ამ მხრივ გაცილებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს.

**კითხვა: მე-10 ხუთწლედი ხარისხის ხუთწლედია. როგორია მომხმარებლის აზრი თქვენს მიერ გამოშვებულ ქსოვილზე?**

**ვ. ადუაშვილი — მთავარი ინჟინერი.** ჩვენი ქსოვილი მოსწონთ და მასზე დიდი მოთხოვნილებაა. განსაკუთრებით აღსანიშნავია საკაბე „პიკე“, საპერანგე „მზიური“, „აისი“, „მიმოზა“.

ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი სწორედ ხარისხია. კომბინატმა აითვისა მაღალი გემოვნებით მოჩითული ქსოვილების ტექნოლოგია. 45 პროცენტით განახლდა ქსოვილების ნახატები. 1977 წლის ბოლოსათვის ხარისხისნიშნიანი ქსოვილების გამოშვება 15 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ახალი, გაუმჯობესებული სახის ქსოვილების გამოშვებამ 20 პროცენტს მიაღწია, რითაც კომბინატმა საკავშირო მაჩვენებელს გადააჭარბა. უკანასკნელ წლებში პირველი ხარისხის ქსოვილების გამოშვება 83 პროცენტით გაიზარდა. შეიქმნა ახალი, ორიგინალური, კოლორიტული, ესთეტიკურად მიმზიდველი ქსოვილები.

**კითხვა: თქვენ შარშან 202 რეკლამაცია მიიღეთ. 465,9 ათასი მეტრი ქსოვილი ხარისხიდან ხარისხში გადაიყვანეთ, თუმცა ხარისხის დავალება შეასრულეთ...**

**ვ. ადუაშვილი:** რეკლამაციების რაოდენობა თანდათან მცირდება. თუ 1976 წელს ჯარიმის სახით 63,5 ათასი მანეთი გადავიხადეთ, შარშან ეს თანხა 7,4 ათასი მანეთით შევამცირეთ.

**კითხვა: რა სახის ქსოვილებს მიენიჭა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი და რა პერსპექტივები გაქვთ მომავალში ამ მხრივ?**

**ვ. ადუაშვილი:** ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა თეთრეულის ქსოვილებს. ამ ნიშანზე წარსადგენად მზადდება კიდევ ერთი სახის ქსოვილი... 1977 წელს სახელმწიფო ნიშნით კომბინატში ქსოვილის საერთო რაოდენობის 15 პროცენტი გამოვუშვით, ხოლო წლეულს ორ თვეში — 22,0 პროცენტი.

ეს რიცხვი კიდევ გაიზრდება.

**კითხვა: თუ მათემატიკოსების ენით ვილაპარაკებთ, ხარისხი პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია ხარისხის მართვის**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მეცნიერულ სისტემასთან. რა კეთდება ამ მხრივ კომბინატში?**

**ვ. ადუაშვილი:** პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა ნამდვილად მეცნიერულ მიდგომას საჭიროებს და მისი სწრაფად დამუშავება და დანერგვა დიდ ეფექტს მოგვცემს. შექმნილია საკომბინატო და საფაბრიკო საკოორდინაციო ჯგუფები, ხარისხის მართვის განყოფილება. პირველი ნაბიჯები გადადგმულია.

**კითხვა: და მაინც ისევ მინდა გკითხოთ: რა ღონისძიებები ხორციელდება კონკრეტულად?**

**ზ. მარღიშვილი — ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი:** ამ მხრივ ნამდვილად ბევრი რამ გაკეთდა. სისტემატურად, კვირაში ერთხელ ვახდენთ ნართის ხამი და მზა ქსოვილების საზოგადოებრივ შემოწმება-წუნდებას, შემოსულ რეკლამაციებს უშუალოდ იმ კოლექტივში განვიხილავთ, სადაც ეს პროდუქცია აწარმოეს. ფაბრიკებში ეწყობა „ხარისხის დღეები", მოწმდება დაზგა-დანადგარების ტექნიკური მდგომარეობა. წუნისმკეთებელნი მორალურადაც ისჯებიან და მატერიალურადაც. შედგენილია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების წლიური და ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა პერსპექტიული გეგმა.

**კითხვა: კომბინატის საერთო წარმატება დამოკიდებულია ფაბრიკების სწორ და ორგანიზებულ მუშაობაზე. სწორედ აქ წყდება ქსოვილის ბედი... რით აიხსნება № 2 საქსოვი ფაბრიკის ჩავარდნები უკანასკნელ ორ წელიწადში?**

**ნ. ფირცხალავა—ოსტატი:** მართლაც, ორი წელია ჩამორჩებით. მიზეზები? მოგახსენებთ. გეგმის შეუსრულებლობა ზეგეგმური მოცდენებისა და დაზგა-დანადგარების დაბალი ნაყოფიერების ბრალია. ჩვენი საქსოვი დაზგები 1961 წელს დაიდგა და, ცხადია, შეცვლა სჭირდება. არსებული დაზგებიც უხარისხოდ რემონტდება; არა გვაქვს დამხმარე მასალები, მწმენდავთა რიცხვი უნდა გაიზარდოს. როცა დაზგა გაუწმენდავია, დიდია წყვეტიანობა. მოსამზადებელ საამქროებში არ არის საჭირო კონტროლი გადახვევის, ქსელვის და გახამების დროს, თუმცა ახლა ამ მანქანებს ცვლიან... წინათ ფაბრიკაში მოისუსტებდა შრომის დისციპლინა, იყო გაცდენები, დაგვიანებები... ამას ემატებოდა ცვლის ოსტატთა დაბალი კვალიფიკაცია.

შექმნილი მდგომარეობა თანდათან სწორდება.

**კითხვა: ხუთწლედის მესამე წელი დამკვრელური წელია. როგორია თქვენი ამოცანები მეათე ხუთწლედში?**

**შ. ქურდაძე — მქსოველი:** კომუნისტური შრომის ბრიგადა, სადაც მე ვმუშაობ, ერთ-ერთი მოწინავეა კომბინატში. ჩვენმა ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი ა. ბულგაკოვი ხელმძღვანელობს, მეცხრე ხუთწლედი 3 წელიწადსა და 4 თვეში შეასრულა, მეათე ხუთწლედს 3 წელიწადსა და 3 თვეში შევასრულებთ. პირადად მე 7 ოქტომბრისათვის, სსრ კავშირის კონსტიტუციის დღისათვის ორი წლის დავალების შესრულება ვივალდებულე. სიტყვა საქმედ ვაქციე. 28 დაზგის ნაცვლად 35 დაზგას ვემსახურები. მეათე ხუთწლედს 3 წელიწადსა და 6 თვეში შევასრულებ.

ამჟამად 1979 წლის მარტის ანგარიშში ვმუშაობ...

**კითხვა: რას იტყოდით ძირითადი პროფესიების მქონე ქალთა საშუალო ხელფასის შესახებ? როგორია მისი ზრდის პერსპექტივები მეათე ხუთწლედში?**

**ვ. კოზინა—შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსი:** კომბინატში 3 600-ზე მეტი ქალი მუშაობს. ეს მუშათა საერთო რაოდენობის 69 პროცენტია. აქედან დაბალკვალიფიციურ ან არაკვალიფიციურ სამუშაოზე დასაქმებულია ქალების მხოლოდ 14 პროცენტი.

თუ 1972 წელს თითოეული მუშის საშუალო თვიური ხელფასი 94 მანეთი იყო, 1977 წელს თვიური ხელფასი 40 მანეთით გაიზარდა. იმ ქალების ხელფასი, რომლებიც ძირითად პროფესიებს ემსახურებიან, 180 მანეთია. გონივრულად ვიყენებთ მატერიალური სტიმულირების ფორმებს — პრემიებს, მეცამეტე ხელფასს, გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ერთდროულ დახმარებებს, პრემიებს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის. მეათე ხუთწლედში დაგეგმილია საშუალო ხელფასის ზრდა 1975 წელთან შედარებით 21,6 პროცენტით, იგი 138 მანეთს მიაღწევს. ძირითადი პროფესიების მქონე ქალების ხელფასი 190 მანეთს მიაღწევს, ხოლო შრომის ნაყოფიერება 24 პროცენტით გაიზრდება.

**კითხვა: როგორია კომბინატში ქალთა შრომის პირობები?**

**ნ. ჩერქეზიშვილი — საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე (სოციალისტური შრომის გმირი):** საგრძნობლად გაუმჯობესდა მუშა ქალთა შრომის პირობები. შეკეთდა ფაბრიკა-განყოფილებების შენობა-ნაგებობები, სანჰიგიენის ოთახები, ახალი ინვენტარით შეივსო სასადილო-ბუფეტები, მუშაობს სამრეცხაო, გაუმჯობესდა მომსახურება, დაიდგა სავენტილაციო დანადგარები, შეიცვალა ხმაურიანი დაზგები, კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა ბავშვებისათვის განკუთვნილია ორი საბავშვო ბაღი და ერთი ბაგა 235 საწოლით, აგრეთვე სანატორიუმის ტიპის ერთი ბაგა-ბაღი 300 საწოლით, რომელიც დღეღამის განმავლობაში უფასოდ ემსახურება კომბინატის მშრომელთა შვილებს.

მეცხრე ხუთწლედში კომბინატის მუშა-მოსამსახურეებისათვის აშენდა 24 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. მეათე ხუთწლედში მათ გადაეცემათ 25 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი. 1976-1977 წლებში ახალმოსახლეობა 210-მა ოჯახმა იზეიმა. ფეიქრების განკარგულებაშია 10 საერთო საცხოვრებელი. უკეთ მუშაობს მუშათა სასადილოები. შექმნილია მეღორეობის დამხმარე მეურნეობა, სადაც ამჟამად 200 სული ღორი გვყავს. წლეულს ჩვენი მუშებისათვის ვაწარმოებთ 40 ტონა ღორის ხორცს, ხოლო გაისად 80 ტონას. გადაწყვეტილი გვაქვს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მეურნეობაც მოვაწყოთ.

**კითხვა: რას იტყოდით კომუნისტი ქალების ავანგარდული როლის შესახებ?**

**ნ. გელაშვილი: — პარტიული კომიტეტის მდივანი:** ახლა, როცა სკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმების გადაწყვეტილებათა სახით გვაქვს საერთო აღმავლობის საუკეთესო პროგრამა, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ერთი მისწრაფებით ცხოვრობენ და შრომობენ — ყველა მაჩვენებლების მიხედვით გავიდნენ მოწინავეთა მიჯნებზე.

ბამბეულის ქსოვილების კომბინატი ძირითადად ქალთა კოლექტივია და, ბუნებრივია, მის ცხოვრებაში ავანგარდული როლი კომუნისტ ქალებს ეკუთვნით. დღითიდღე იზრდება იმ კომუნისტ ქალთა რიცხვი, რომლებიც ხუთწლედის ვალდებულების შესრულებას უპატაკებენ მშობლიურ კოლექტივს. მრთველი მარინე ალბუთაშვილი 1979 წლის დეკემბრის ანგარიშში მუშაობს. ხუთწლედის სამი წლის დავალება უკვე შეასრულეს ლამარა კაკოიშვილმა, ეკატერინე ქურდაძემ, ტატიანა სავაგიროვამ და სხვებმა. კვლავ ახალგაზრდული ენერგიით შრომობს პირველი მრთველი, ამჟამად ცვლის ოსტატი ევგენია სამადალაშვილი; გამომყვანი ფაბრიკის საზომი საამქროს წუნმდებლის მაიკო მურჯიკნელის დევიზია — „ჩემი ნახელავი ჩემი სიამაყეა".

გორული ქსოვილის იერსახის შექმნასა და გაკეთილშობილებაზე გულმოდგინედ მუშაობს დისენატორი ნანული აბუაშვილი, ფეიქარ ქალებს მხარს უმშვენებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მრთველი თამარ დაღელაშვილი, სოციალისტური შრომის გმირი ნანული ჩერქეზიშვილი, სამამულო ომის ვეტერანები სუსანა ცატურიანი და ანა პერლოვა.

№ 1 საქსოვი ფაბრიკის მოსამზადებელი საამქროს კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელსაც ლ. გელაშვილი ხელმძღვანელობს, ვალდებულება იკისრა 17 თებერვლისათვის — საქართველოს კომკავშირის ოცდამეთერთმეტე ყრილობის გახსნის დღისათვის შეესრულებინა პირველი კვარტლის დავალება. ამ ინიციატივას 16 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა გამოეხმაურა, რომელთაც სიტყვა საქმედ აქციეს.

გორელი ფეიქარი ქალები ეხმაურებიან ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ ფეიქარ-ინიციატორებს ა. გრასნოვას, ე. სმირნოვას და სხვებს.

ჩვენ გვჯერა, რომ გორელი ფეიქრები ახალი გამარჯვებებით აღნიშნავენ ხუთწლედის მესამე წლის — დამკვრელური წლის ყოველ დღეს და მხოლოდ გამარჯვებებს უპატაკებენ სამშობლოს.

ინტერვიუ აიღო **ბეგლარ ნოზაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# იხარე, ჭერო!

ღამეა. ჩქამიც არ ისმის. ზოგჯერ დამფრთხალი შაშვი აჯაჯანდება და ტოტიდან ტოტზე გადაფრინდება. ხან კი ნაგვიანევი მგზავრის ფეხის ხმაზე ნაგაზები აზვავდებიან. სოფელს სძინავს. არ სძინავს დედას. გამხდარი, ნაჯაფი ხელები მძიმედ დაუშვია, ფიქრებით თავს დასტრიალებს შვილებს. „ქუგალეთ, თქვენ სანთელო, ნანა" — ჩურჩულებს დედა. მერე ფერგადასულ მეუღლის სურათს გახედავს საყვედურით: „ცუდ დროს მიღალატე, თოლიგე, რატომ არ იფიქრე, ათი შვილის გაძღოლა გამიჭირდებოდა მე ბედდამწვარს. თუმცა შენ იკითხე, თორემ მე რა მიჭირს, არცერთს არ შეურცხვენია თავი. ათი შვილი ახლა ოცად მექცა. ოცდასამი შვილიშვილი მერცხლებივით დაჟღურტულებს შენს ეზო-გარემოს".

შვილიშვილების მოგონებაზე ნათელი გადაეფინა ბებიას სახეზე. შორეული წარსული გაახსენდა. 17 წლისა იყო, როცა ცხაკაიას რაიონის სოფელ ლეძაძამეში მელიტონ მიქავასთან იქორწინა.

თვრამეტი წლისამ პირველ შვილს — თამარს დაურწია აკვანი. თამარი პატარაობიდანვე ვაჟკაცივით ამოუდგა დედას მხარში. ამიტომაც და-ძმანი მას ზედმეტ სახელად ნანაიას (დედას) ეძახიან.

— აბა, სად მეცალა, ნანა პატარების მოსავლელად, ძირდალოცვილი ჩაის პირველი თესლი მე მივაბარე მიწას. ჩაის ფოთლის კრეფაში ხომ არავის გავუშვებდი წინ. ალიონზე მე და მელიტონი ფართობში რომ გავიდოდით, ღამე გვიან შემოვდიოდით შინ, — ამბობს ქრისტინე.

თამარი ახლადფეხადგმულ ნუცას დაატარებდა და კუკუშას აკვანს არწევდა. მერე ნუცა და კუკუშა თავს ევლებოდნენ ვალიდას. თამარი კი, სასწავლებლის შემდეგ, დედას მიჰყვებოდა სამუშაოდ.

როცა ლონგინოზმა თავისი მობრძანებით გახარა ჭერი, დები სიხარულით ცას ეწეოდნენ, ერთმანეთს აღარ აცლიდნენ პატარის მოვლას. თუ რასმეს კარგს ნახავდნენ, ეს ლონგისააო, იტყოდნენ და კისრისტეხით გარბოდნენ ძმისკენ.

კარგი ფეხი მოიტანა ლონგიმ. მას ჯონდი მოჰყვა, ჯონდის — რომანი, რომანს — ნათელა, მურმანი და მზია... ათი შვილი, ათი სიხარული! ამ სიხარულს გაძღოლა უნდა... ქრისტინემ და მელიტონმა ბავშვებს შეაყვარეს შრომა, რომ მამულის ღირსეულ შვილებად აღზრდილიყვნენ, რომ სადმე ფეხი არ ასცდენოდათ...

სკოლიდან მოსულებს ყველას ასაკის მიხედვით თავისი საქმე ჰქონდა მიჩენილი. ერთი ბარავდა, მეორე თოხნიდა, ზოგს შეშა მოჰქონდა, ზოგს წყალი, უფროსები სახლს ალაგებდნენ და საჭმელს ამზადებდნენ. საკმარისი იყო დედას ერთხელ გადაეხედა შვილებისათვის და... მათ უკვე უთქმელად იცოდნენ, რა სჭირდა და რა ახარებდა მშობელს. დედას არ ეწყინოსო, იტყოდნენ და დავალებულ საქმეს სიხარულით ასრულებდნენ.

ერთმანეთის სიყვარულში და შრომაში შეღერდნენ და დავაჟკაცდნენ შვილები. სწორედ ამ დროს გამოეცალა ოჯახს მამა ხელიდან. მაშინ ნაბოლარა მზია თერთმეტი წლისა იყო, მურმანი კი — თექვსმეტისა. უმამობას არ დავამჩნევ ჩემს და-ძმებსაო და გაიწია თამარმა თბილისისაკენ. ავეჯის ფაბრიკაში მოეწყო ბუღალტრად. ნუცამ კი უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩააბარა გამოცდები და უმაღლესის დამთავრების შემდეგ ისევ თავის რაიონს დაუბრუნდა. ახლა თეკლათის საშუალო სკოლაში ასწავლის ქართულ ენასა და ლიტერატურას.

კუკუშამ ბუღალტერია ისწავლა და ცხაკაიას რაიონის კინოფიკაციის განყოფილებაში მუშაობს. ვალიდა ლეძაძამის სასოფლო საბჭოს მდივანია. დები უკანასკნელ კაპიკს აწვდიდნენ დედას და უმცროსების აღზრდაში ეხმარებოდნენ.

ახლა ლონგინოზი კოლმეურნეობის მექანიზატორია. შარშან რვაას სამოცდათვრამეტი ჰექტარი მიწა მოხნა და ორი ათას ორასოთხმოცდაათი მანეთი მიიღო ფულად.

ჯონდი საშუალო სკოლის პედაგოგია.

რომანი კოლმეურნეობაში ეკონომისტად მუშაობს, ხოლო მურმანი კოლმეურნეობის ფერმის ზოოტექნიკოსია.

ნათელა მოწინავე მეჩაიედ ითვლება ლეძაძამეში.

ნაბოლარა მზიას განსაკუთრებული ქორწილი გადაუხადეს. ის ახლა სოხუმში ცხოვრობს.

როცა ათი ქორწილი გადაიხადეს და ათი ფეხბედნიერი წევრი შემოემატა ოჯახს, ძმებმა მამისეული ფიცრული სახლი დაანგრიეს და ნამოსახლარზე ორსართულიანი აგურის შენობა წამოჭიმეს.

ახალმოსახლეობა და მამის ფუძის გაგრძელება ყველაზე უმცროს ძმას — მურმანს დაულოცეს. მერე გვერდიგვერდ ძმებმა თავთავიანთი სახლები ჩადგეს. ცალ-ცალკე დასახლდნენ, მაგრამ მეტწილად მაინც დედასთან არიან, ახლაც დედას ჰკითხავენ რჩევას.

დედას უხარია, რომ ახლოს ჰყავს შვილები. უხარია, რომ მისი ნაშიერები უანგაროდ ემსახურებიან სამშობლოს და ოჯახი დოვლათითა აქვთ სავსე.

ერთი რამ მაინც უკვირს ქრისტინეს: შვილებმა რატომ ვერ მიჰბაძეს დედას, თითო-ორი შვილი, აბა, რა შვილიაო, იტყვის ხოლმე გულისტკივილით.

ლეძაძამეში სამოცდათორმეტი მრავალშვილიანი დედაა. მათ შორის ხუთს გმირი დედის სახელი აქვს მინიჭებული. ამიტომაც ამ სოფელს გმირთა სოფელს ეძახიან.

ქრისტინეს 1956 წელს მიენიჭა გმირი დედის საპატიო წოდება. მას სახელმწიფომ ორი ათას ხუთას ოთხმოცი მანეთის დახმარება მისცა...

ყოველ დღესასწაულზე გმირი დედა ათი წლით მაინც ახალგაზრდავდება. ამ დროს ყველა მოდის და ახარებს დედის გულს. დედა კი მთელი დღე ფუსფუსებს და შვილების საყვარელ კერძებს ამზადებს. ჯერ ხელდამშვენებული თამარი შემოაღებს კარს. მერე ჭიშკართან მსუბუქი მანქანები ჩარიგდებიან. რიგრიგობით შემოდიან შვილები, რძლები, სიძეები და შვილიშვილები, ეზოში ფეხად არ ეტევა მისი ნამრავლი. თითქოს გაიწევა კედლები, ამაღლდება ჭერი. სუფრის თავში ლონგინოზი დაჯდება, მარცხნივ დედას მოისვამს, მარჯვნივ — თამარს, მამას მიბაძავს და დაიბუბუნებს: „იხარე ჭერო, იმრავლე ერო!"..

ოლია დადიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთევან ქუჩუკაშვილი

# ჩიტები გაყინულ ტბაზე

მოთხრობა

— არა გშია? შევიდეთ.

ისინი კაფეს წინ დგანან. ცოტა ხნით შეჩერდნენ, ვიდრე დაემშვიდობებიან ერთმანეთს, ქალი თავისთვის წავა, მამაკაცი — თავისთვის. სასამართლომ გააშორა და იქიდან მოდიან, განქორწინების საბუთი ქალს მოგრძო, ნაცრისფერ საფულეში უდევს, მამაკაცმა ჯიბეში ჩაიდო. აქ გაჩერდნენ, რადგან ქალი მეორე მხარეს გადავა და ავტობუსში ჩაჯდება, რომელშიც ამ რამდენიმე თვის წინათ ორივენი ერთად სხდებოდნენ; ახლა მამაკაცმა სხვაგან იქირავა ბინა, ცოლი კი იქ დარჩა, სადაც ორი წელი გაატარეს, სასადაც ერთი თვის ბავშვი მოუკვდათ. ახლა სხვას ირთავს, სხვა შეუყვარდა და ამიტომ გაშორდნენ, მაგრამ ამ კაფეში ბევრჯერ ყოფილან და ახლაც ზამთრის ღრუბლიან დღეს მამაკაცი ძველი ჩვეულებისამებრ ეუბნება:

— შევიდეთ, მე მომშივდა, შენ?

— მეც.

ქალს ღიმილი არ მოსდის, ისინი შედიან კაფეში და პატარა მაგიდასთან სხდებიან.

— რა ავიღოთ? — ეკითხება მამაკაცი.

— რაც გინდა.

— მაშინ...

მან იცის, რა უყვარს ქალს. ის მიმტანს უყურებს, რომ მისი ყურადღება მიიქციოს და როცა მიმტანი მოდის, უკვეთავს იმას, რაც თვითონ კი არა, ქალს უყვარს.

— და კიდევ...

ისევ იმას უკვეთავს, რასაც ქალი სიამოვნებით შეჭამს. ისინი გაჩუმებულები სხედან, ვიდრე მიმტანი მოიტანს, რაც შეუკვეთეს. სალაპარაკო არა აქვთ; ქალმა იცის, მის ქმარს საცოლე ჰყავს, ისინი მალე იქორწინებენ. მას არავინა ჰყავს. ისიც იცის, უკანასკნელად სხედან ამ კაფეში. დღეის იქით თუ შეხვდება ამ მამაკაცს, ეცდება, თვალი აარიდოს, ახლა კი ძალიან უნდა უთხრას, შენ არასოდეს არ იქნები ჩემთვის უცხო, როგორც სხვა მამაკაცები არიან, არასოდეს, მთელი სიცოცხლეც რომ გავიდეს, ათი, ოცი წლის შემდეგაც შენ ჩემთვის იქნები, ის მამაკაცი ვისაც არავის შევადარებ.

— გემრიელია?

— კი.

— მეც გემრიელი მეჩვენება, სხვა დროს ასეთი გემრიელი არ არის ხოლმე.

— ჰო.

მამაკაცი უყურებს მის სახეს, მერე ცალ-ცალკე აკვირდება მის შუბლს, თვალებს, ცხვირს, ნიკაპს, თმას და უცებ სასიამოვნოდ, ძალიან სასიამოვნოდ გრძნობს ამ ქალის თმის შეხებას თავის სახეზე.

— ექიმთან იყავი?

— ვიყავი.

— მერე?

— წამლები გამომიწერა.

— რაო?

— ისეთი არაფერია.

— მაინც?

ქალი არ ეუბნება, რომ ექიმი ურჩევს სადმე წავიდეს და გაერთოს.

— რა გითხრა ექიმმა? — აცივდება მამაკაცი. ქალს არ ეღიმება.

— ის მირჩევს, გავერთო. მე მუშაობას ვიწყებ.

— მუშაობას იწყებ?

მამაკაცისათვის ეს ახალი ამბავია. ქალს ბავშვის სიკვდილის მერე არ უმუშავია.

— სად იწყებ?

— ისევ იქ, სადაც ვმუშაობდი.

მამაკაცს უსიამოვნოდ ხვდება გულზე ეს ამბავი, იქ მუშაობს ის, ვისაც წინათ მოსწონდა ეს ქალი, იქნებ, ახლაც მოსწონს, ისევ მოსწონს, და, ამიტომ მიიღო.

— სხვაგან არ იყო არაფერი?

— იქ შეჩვეული ვარ.

— შეჩვეული ხარ, მაგრამ...

ქალმა იცის, რის თქმა უნდა მამაკაცს, მაგრამ სულ არა ცდილობს, რამე ეჭვი გაუღვიძოს, მხოლოდ იმას ამბობს, რაც არის.

— შენ შეგიძლია სხვაგანაც იმუშაო.

— არა, მე იქ ყველა მიცნობს და იქ მირჩევნია.

მამაკაცმა იცის, რომ ქალი მართალია, იქ ყველა იცნობს, ინსტიტუტის გათავების შემდეგ ორი წელი იქ იმუშავა, ორი წელი აღარ უმუშავია, ჯერ ფეხმძიმედ იყო, მერე ბავშვი გაუჩნდა, მერე მოუკვდა, მერე სულაც აერია ცხოვრება, თითქოს უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ ვერ შეთვისდნენ და გაშორდნენ. ქალს განქორწინე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ქაღალდი ნაცრისფერ, მოგრძო საფულეში უდევს, მამაკაცმა კი პირდაპირ ჯიბეში ჩაიდო.

მამაკაცი უყურებს ქალის დასევდიანებულ, დაფიქრებულ სახეს და სინდისი ქეჯნის. უყურებს მის ნიკაპს და ტუჩებს. არასოდეს აღარ მოჰკიდებს ხელს და არ აუწევს ნიკაპს, როგორც იცოდა ხოლმე; უყურებს მის ხელს, მის თხელ ხელს, მაგიდაზე რომ უდევს, თითქოს გრძნობს ამ ხელის შეხებას; არასოდეს მის სახეს აღარ შეეხება ეს ხელი.

ამ საღამოს საცოლე ელოდება. ისინი ერთმანეთს ტროლეიბუსის გაჩერებასთან შეხვდებიან და მერე გადაწყვეტენ, სად შევიდნენ, კინოთეატრში თუ კონცერტზე. მამაკაცს აგონდება საცოლის ლაპარაკი:

— კვირას სტუმრები გვეყოლება, შენს გასაცნობად მოდიან.

— ნუთუ?

ქალიშვილს თმა გრძლად აქვს ჩამოშლილი, ლამაზი თმა აქვს. მაგრამ ახლა, კაფეში რატომღაც თავისი ცოლის წაბლისფერი თმა უდგას თვალწინ და ამ თმას ეალერსება. ის ხელს უსვამს წაბლისფერ თმას, მერე მის ხელს ისვამს სახეზე და ჰკოცნის.

ქალი ნელა ჭამს, ვერ გაიგებ, რაზე ფიქრობს ახლა, არაფერზე, უკვე ყველაფერზე იფიქრა, ბევრჯერ იფიქრა და თითქოს საფიქრალი აღარაფერი აქვს; ის გაშორდა მამაკაცს, ვინც უყვარს, ვინც ქვეყანას ურჩევნია, ვისაც ვერც ერთი მამაკაცი ვერ შეცვლის. ასე არ ეყვარება არავინ, კიდეც რომ გათხოვდეს; ის არ იქნება ის, ვინც მის წინ ზის ახლა და ფრთხილად ჭრის ხორცს, თითქოს ისევ შინ არიან და ბავშვს სძინავს, ერთი თვის ბავშვს. ის ავადმყოფი დაიბადა და მისი დაბადების მერე ყველა ჩუმად ლაპარაკობს, ჩუმად ჭამს, რომ არაფერმა გაიხმაუროს და არ შეაწუხოს სნეული ბავშვი. მამაკაცს ახლა თავისი ბიჭის სახე აგონდება. პატარა, ავადმყოფი, დანაოჭებული სახე, იმიტომ რომ გამხდარია. ვერ მოიმატა, იმიტომ, რომ ავად არის. როგორ უნდა ქალსაც რაღაც თქვას ბავშვზე. მას შეუძლია მთელი დღე ილაპარაკოს თავის ერთი თვის ბიჭზე. თუმცა ჯერ აღუს თქმაც არ იცოდა. ბევრი რამ აგონდება თავისი ერთი თვის ბიჭისა: როგორი ხელები ჰქონდა, როგორ იზმორებოდა, ფეხს რა სასაცილოდ ღუნავდა მუხლში, ამიტომ ყველას ეგონა, რომ მოერეოდა ავადმყოფობას.

— რას დალევ?

ეკითხება მამაკაცი ქალს და ვიდრე ის პასუხს მისცემს, უკვე უკვეთავს:

— პიტნა და ლიმონი ერთად.

ყოველთვის ასეთ წყალს სვამდნენ, ქალს პიტნის და ლიმონის ნარევი უყვარს.

— სადილზე რომელი კაბა ჩავიცვა? — ესმის თავისი საცოლის ხმა.

— რომელიც გინდა.

— მაინც?

— მე მგონი, ყველაზე მეტად ცისფერი გიხდება.

— ცისფერი?

— ჰო.

— მე მინდა, თეთრი კაბა მეცვას.

— თეთრი? თეთრი ხომ ქორწილის დღეს უნდა ჩაიცვა?

საცოლე ფიქრობს, და ორივე ხელს საქმროს ხელებს ადებს.

— იცი, მე მაინც მინდა სადილზე სტუმრებთან თეთრი კაბა მეცვას.

მამაკაცი თავის საცოლეს ჰკოცნის.

— ჩემთვის სულ ერთია, შენ ყველაფერი გიხდება.

— არა, შენ არ იცი, ყველაზე მეტად თეთრი მიხდება.

— ყველაფერი გიხდება, — უმეორებს საცოლეს.

ისინი ხელს მოაწერენ და წავლენ ბალტიისპირეთში ათი დღით, შეიძლება, მეტ ხანსაც დარჩნენ, თუმცა ახლა იქ ცივა და თოვლია, მაინც წავლენ, ასე სურს მის საცოლეს; ამიტომ სწორედ ბალტიისპირეთში წავლენ, ზღვისპირის რომელიმე ქალაქში, ქალაქგარეთ ან სოფელში დასახლდებიან, ტბის პირას. ეს კი აქ დარჩება, ყოველდღე მივა გაჩერებასთან და ჩაჯდება ავტობუსში, ნაცრისფერ შენობასთან ჩამოვა, მიუჯდება მაგიდას და შეუდგება მუშაობას, რასაც ორი წელია არ მიჰკარებია; ისინი კი ტბის პირას ლამაზ ადგილას იქირავებენ სახლს, ტბის გაყინულ ნაპირზე მოვლენ ჩიტები, საჭმელს ეძებენ და ზამთარში უფრო ნაპირს ეტანებიან. მისი ცოლი დაფხვნილ პურს დაუყრის, ასე ამბობს მისი საცოლე, ყოველ დილით საგანგებოდ ჩიტებისთვის იყიდიან პურს და იმ ორ კვირას, ვიდრე იქ იქნებიან, გამოჰკვებავენ ჩიტებს.

— მე ერთი სახლი ვიცი, სულ ძველებურ სასახლესა ჰგავს.

— მეც ბევრი ლამაზი სახლი მეგულება იქ, — ეუბნება საცოლეს მამაკაცი.

ყველაფერზე ეთანხმება, რასაც საცოლე ამბობს, ყველაფერს ისე გააკეთებს, როგორც მას უნდა, მაგრამ აქ, კაფეში, თითქმის შეუძლებლად მიაჩნია, რომ ისინი ტბის პირად იცხოვრებენ, ჩიტებს პურის ნამცეცებს დაუყრიან. რა არის ამაში წარმოუდგენელი, ეს უკვე გადაწყვეტილია.

— ძალიან გემრიელი იყო ყველაფერი. ფულს მე გადავიხდი, მე უფრო მშიოდა, — ეუბნება ქალი მამაკაცს.

— არა, მე გითხარი, შევიდეთ-მეთქი, — ღიმილით ამბობს მამაკაცი.

— მერე რა, რომ მითხარი, მე ძალიან მშიოდა, ალბათ სახლამდე ვერ მივაღწევდი, ძლივს ვიდექი ფეხზე, იქ დიდხანს მოგვიხდა ლოდინი.

—ჰო, დიდხანს.

— მაგრამ საჭირო იყო ლოდინი, უსათუოდ დღეს უნდა აგვეღო განქორწინების ქაღალდი.

ამ ბოლო სიტყვას, „ქაღალდს“, ის ძლივს ამბობს, თითქოს ტუჩები უთრთის ამ სიტყვაზე.

— აქ მიდევს, — განაგრძობს ის. — უნდა გავუფრთხილდე, არ დამეკარგოს.

ის მამაკაცს უყურებს, მამაკაციც უყურებს ქალს და ფიქრობს, ასეთი ლამაზი არასოდეს არა ყოფილა ჩემი ცოლი.

— შენც გაუფრთხილდი, ეს არის უკანასკნელი, რაც მე და შენ გვაკავშირებს. ქაღალდში სწერია, რომ ჩვენ ერთმანეთს გავშორდით, მაგრამ ეს ქაღალდი ჩვენ გვაკავშირებს, — განაგრძობს ქალი.

მამაკაცი უყურებს ქალს, მისი სახის მოხაზულობას. ჯერ შუადღეა, მაგრამ ისეთი ღრუბლები ჩამოწვა, სულ ჩამობნელდა ცა და საღამო ხანი გეგონება.

— მეც გავუფრთხილდები, არ დავკარგავ, დიდი ხნის მერე ის ბევრ რამეს მომაგონებს.

— მეც.

— მომაგონებს იმას, რაც არასოდეს აღარ განმეორდება ჩემს ცხოვრებაში, — ამბობს მამაკაცი.

— ჩემს ცხოვრებაშიც.

ქალს დღეს ერთხელაც არ გაღიმებია, არც ახლა ეღიმება, არ ეღიმებოდა მის პატარა ერთი თვის ბიჭსაც, მაგრამ მან ღიმილი არ იცოდა, ამან ხომ იცის? ტუჩები მაგრად აქვს მოკუმული და სიტყვები, თითქოს, ბაგიდან კი არ ამოსდის, გულიდან ისმის, პირის გაუხსნელად.

ისინი კაფედან გამოდიან და უცებ ემშვიდობებიან ერთმანეთს.

— გაფრთხილდი, კიდევ არ გაცივდე, — ეუბნება მამაკაცი.

— ვეცდები.

— ყველაფერი ისე გააკეთე, როგორც ექიმი გეტყვის.

— ისე გავაკეთებ.

— გაფრთხილდი, ძალიან გაფრთხილდი, შენთვის გაციება არ შეიძლება.

— ვიცი.

ყველაზე მძიმე წუთი დგება, მძიმე და უხერხული, ერთ-ერთმა უნდა გადადგას ნაბიჯი განსაშორებლად, ვერცერთი ვერა დგამს, მამაკაცმა უნდა შეაქციოს ზურგი და ქუჩას გაჰყვეს, ქალი უნდა გადავიდეს ქუჩის მეორე მხარეს და თავის ავტობუსს დაელოდოს.

ნაცრისფერი ხე დგას მათ შუა, მაგრამ ხეს რა შეუძლია, ის ვერა ხვდება, რომ ორი ადამიანი სამუდამოდ დაშორდა ერთმანეთს. მისი ტიტველი ტოტები ელოდებიან მზეს, სითბოს, კარგ ამინდს, წვიმისა და ზამთრის ეშინიათ.

ქალსაც ეშინია, მაგრამ თვითონაც არ იცის, რისა ეშინია. მამაკაცსაც!



კ. მარქსის ... ქ. სსრ
სახელმწ.

# სიცოცხლე სიცოცხლისათვის!



არიან ადამიანები, რომლებმაც შეუმცდარად იციან, სად უფრო მეტ სარგებლობას მოუტანენ ხალხს და ცხოვრებაში არჩეულ გზას მტკიცედ მიჰყვებიან, თავდაუზოგავად ილვწიან სიკეთისათვის და სწრაფად იფერფლებიან.

სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის დალი ღოღელიანი, რომლის მომხიბლავმა სახემ ორმოცდაათიანი წლების ქართულ კინოეკრანზე კომეტასავით გაიელვა. მაშინ იგი სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი იყო. მაყურებელმა გულთბილად მიიღო მის მიერ განსახიერებული როლები კინოფილმებში: „ვინ შეკაზმავს ცხენს“, „ნინო“, „ყვავილი თოვლზე“; სატელევიზიო ფილმი „გამზრდელი“. მართალია, წარმატება მოიპოვა, მაგრამ კინო დალისათვის მაინც ახალგაზრდულ გატაცებად დარჩა: ყველაზე მეტად მას ადამიანი უყვარდა, ამიტომაც დადგა ადამიანის სიცოცხლის სადარაჯოზე. ბოლომდე ერთგული იყო ფიცისა, რომელიც 1972 წელს, სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებისას დადო.

1967 წელს დალი სწავლას განაგრძობს თბილისის ონკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ორდინატურაში, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლევან ჩარკვიანის ხელმძღვანელობით მეცნიერულად სწავლობს ქალთა ორგანოების კიბოს ნაადრევ დიაგნოსტიკასა და მის ქირურგიულ მკურნალობას. საშვილოსნოს ფართო მასშტაბიანი ოპერაციების დროს, მსხვილი სისხლძარღვებისა და შარდსაწვეთების გამოსაყოფად, მეცნიერმა ქალმა გამოიყენა პროფესორ ჩარკვიანის მიერ მოწოდებული სპეციალური იარაღი და ავტორთან ერთად გააუმჯობესა ამ კლასიკური ოპერაციის ტექნიკა, მნიშვნელოვნად შეამცირა ოპერაციის შემდგომი გართულებები. ეს სიახლე საფუძვლად დაედო დალი ღოღელიანის საკანდიდატო დისერტაციას, რომელიც მან 1973 წელს ბრწყინვალედ დაიცვა. ამ დისერტაციის ცალკეული ფრაგმენტები შრომების სახით გამოქვეყნდა როგორც ჩვენში, ონკოლოგთა II საკავშირო ყრილობაზე, ასე საზღვარგარეთაც, X-XI საერთაშორისო კონგრესებზე (1970 წ. ჰიუსტონი — აშშ, 1974 წელს ფლორენცია-იტალია), რომლებზეც კიბოს პრობლემები განიხილებოდა.

დალი ღოღელიანმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქალთა ორგანოების პიგმენტური სიმსივნეების ეპიდემოლოგიისა და კლინიკის შესწავლაში. ეს ნაშრომი გამოქვეყნდა ონკოლოგთა საკავშირო სიმპოზიუმზე (1970 წელს ლენინგრადში და საერთაშორისო სიმპოზიუმზე (1972 წ. სიდნეი — ავსტრალია).

ნაკლებ მნიშვნელოვანი არც ის შრომები იყო, რომლებიც საშვილოსნოს ყელის კიბოს კლასიფიკაციის შემუშავებას შეეხება. ეს შრომა საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის ჯანდაცვის მინისტრის 1976 წლის ბრძანებას, რომლის მიხედვითაც მესამე სტადია მკურნალობისათვის უკვე დაგვიანებულად ითვლება და საჭიროა დაგვიანების მიზეზების შესწავლა. ახალგაზრდა მეცნიერი ოცდაათზე მეტი მეცნიერული შრომის ავტორი იყო. იგი ინტენსიურად მუშაობდა სადოქტორო დისერტაციაზე. იკვლევდა კიბოს ქირურგიული მკურნალობის გაუმჯობესების შემდგომ გზებს და ორგანიზმში მეტასტაზების (მოთესვის) პროფილაქტიკას. სადოქტორო დისერტაციის ეს ნაწილი, რომლის დაცვა მას არ დასცალდა, ჩეხურ ენაზე ითარგმნა 1977 წელს. ჩეხ ონკოლოგთა III ნაციონალურ კონგრესზე გამოქვეყნდა. ონკოლოგთა მომავალ III საკავშირო ყრილობაზეა წარდგენილი.

დალი ღოღელიანი მთელ თავის ენერგიას დაუღალავად ახმარდა ავადმყოფების გაჯანსაღებას. ამ ნაზ, სიფრიფანა ქალს თავისი ძალები სწამდა და ვაჟკაცური შემართებით ოსტატურად აკეთებდა ურთულეს ოპერაციებს. 1974 წლიდან იგი საქართველოს ჯანდაცვის ონკოლოგიური ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელია, გინეკოლოგიური განყოფილების საოპერაციო სექციის ხელმძღვანელია, ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარეა, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ონკოლოგიის კათედრის ასისტენტი — ლექციებს უკითხავს სტუდენტებს, როგორც კონსულტანტი ეხმარება რაიონებში მომუშავე ექიმებს.

ავადმყოფები მის გამოჩენას სიხარულით ხვდებოდნენ, მარჯვენას ულოცავდნენ.

ასე იყო 1977 წლის 25 დეკემბერსაც. დალიმ ურთულესი ოპერაცია გვიან დაამთავრა. მაშინ არავინ იცოდა, თუ ეს — მეხუთასე ოპერაცია უკანასკნელი აღმოჩნდებოდა. საოპერაციოდან გამოსულმა ოფლი შეიმშრალა, შუბლზე ჩამოშლილი თმა შეისწორა და სავარძელში რომ ჩაჯდა, მხოლოდ მაშინ იგრძნო მუხლებში სისუსტე. ტელეფონის ზარმა გამოაფხიზლა: 12 წლის თეამ დაურეკა, დედას სთხოვდა შინ ჩქარა მოდი, ფასანაურში წასვლა არ დაგვიგვიანდესო. დალიმ შვებულება დეკემბრის ბოლოს აიღო და საskolo არდადეგებს ელოდებოდა, რომ ბავშვი დასასვენებლად წაეყვანა...

ისარივით გატყორცნილ შარა-გზაზე ავტობუსი მიჰქროდა. დალი ფანჯარასთან იჯდა. ვერცხლისფრად ლივლივებდა მტკვარი. ალაგ-ალაგ შერჩენოდა თოვლი გადაშლილ ველებს. მქრქალ ნისლში გახვეულიყო „ჯვარი“, ჯვარმა „მოდინახე“ და ნაზიბროლა გაახსენა.

საყვარელი საქმე ბევრ დროსართმევდა, ამიტომ ახლა ზედმეტად ეფერებოდა შვილს, გოგონა კი კისკისებდა, მღეროდა. მზე უკვე მთებს მიეფარა, როცა ფასანაურში ავიდნენ. „მოაგარაკეებმა“ თოვლში კოტრიალითა და გუნდაობით გაიხარეს.

იმ საბედისწერო დღეს — ექვს იანვარს დალი ოთხი ბავშვის თანხლებით მახლობელ მწვერვალზე ავიდა. მზიანი დილა იყო. თბილოდა. გაკვალულ ბილიკს შეუდგნენ და მალე „მწვერვალი დალაშქრეს“. უკან დაბრუნებისას ერთმა ბავშვმა ციცაბოსკენ გადაუხვია, უცებ თავი ვერ შეიმაგრა, მოცურდა და დალის გოგონაც გადაიყოლია. დალიმ უცბათ გაითვალისწინა, რომ ბავშვებს ხევში ჩაჩეხვა მოელოდათ, სწრაფი ნახტომით წინ გადაეღობა და საკუთარი სხეულით შეაჩერა ბავშვები. საკუთარი სიცოცხლის ფასად ორი ბავშვის სიცოცხლე იხსნა...

მთის ძირას, წყაროსთან მომუშავე გლეხს ბავშვის ყვირილი რომ შემოესმა, საქმეს თავი მიანება და სწრაფად ავიდა ფერდობზე. უჩვეულო სანახაობა წარმოუდგა თვალწინ... კლდის ქიმზე ზღუდესავით გაწოლილიყო ქალის სხეული, რომელსაც გონდაკარგული ბიჭუნა მიყრდნობოდა. თეა კი ტიროდა, საყვარელ დედას სახეზე სისხლს უწმენდდა. მზე ჩაჰქრობოდა დალის ნათელ თვალებში! ასე დააგვირგვინა თავისი აზრიანი სიცოცხლე დალი ღოღელიანმა და თავგანწირვის ცოცხალ მაგალითად დაგვიტოვა გმირობის შარავანდედით მოსილი სპეტაკი ცხოვრების გზის ფინალი. ბოლომდე იბრძოდა სიცოცხლის გადარჩენისთვის. ასე აღასრულა მან ექიმის ფიცი.

ლილი ხუციშვილი,
ექიმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერი საუკეთესო — ბავშვებს

# თქვენი საჩუქარია, დედებო!



დღევანდელი მშობელი მედიცინაში საკმაოდ გარკვეულია. დღეს პედიატრები დედას თამამად ანდობენ ავადმყოფი ბავშვის მოვლას. მკურნალები თავად აღიარებენ, ექიმისა და დედის ურთიერთობა გაიოლებულიაო...

ახალგაზრდა მშობლებისათვის, მათი ოჯახისათვის ყველაზე ახლობელი ადამიანი ექიმი-პედიატრია. მაგრამ, მათ გარდა კიდევ ჰყავთ დედებს ერთგული მეგობრები— სააფთიაქო დაწესებულებათა მუშაკები, რომელთაც ნაკლები ამაგი როდი მიუძღვით მათს შვილებზე.

თბილისელებისათვის ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე მდებარე 27-ე აფთიაქთან ახლახან გახსნილი პედიატრიული განყოფილება დიდი საჩუქარია.

— ჩვენი მიზანი იყო ერთმილიონიან ქალაქში შექმნილიყო ისეთი სააფთიაქო-პედიატრიული დაწესებულება, სადაც ბავშვებისათვის საჭირო მედიკამენტები მოიყრიდა თავს, — გვეუბნება თბილისის 27-ე აფთიაქის მმართველი სოკრატ სალუქვაძე.

— ჩვენში დღეს, როგორც არასოდეს, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პედიატრიულ-ფარმაცევტული მრეწველობის განვითარებას. სპეციალიზაცია მომსახურების ყველა სფეროში ნამდვილად სწორი კურსია. იგი ცხოვრებისაგან არის ნაკარნახევი. პედიატრიულ-სააფთიაქო განყოფილება თბილისში ჯერჯერობით ექსპერიმენტულია. მისი მიზანია დაზუსტდეს ბავშვთა, განსაკუთრებით ჩვილობის ასაკში უფრო რა პრეპარატებს ხმარობენ. შევისწავლოთ განმეორებადი რეცეპტურა... ერთი სიტყვით, მაქსიმალურად დავაკმაყოფილოთ ბავშვთა მოთხოვნილებები, — ამბობს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს უფროსი გურამ ხანთაძე.

ნამდვილად საჭირო იყო ქალაქს ერთი სპეციალიზებული სააფთიაქო დაწესებულება მაინც ჰქონოდა, სადაც ჩვილი ბავშვებისათვის ყოველთვის ექნებოდათ სათანადო მედიკამენტები და სხვა აუცილებელი საგნები და აი, ახლა, პედიატრიულ-სააფთიაქო განყოფილებაში თბილისელ ახალგაზრდა დედებს შეუძლიათ შეიძინონ სოქსლეტის (დანაყოფებიანი) ბოთლები, საწოვრები (ორივენაირი), კოტოშები, საბავშვო სასწორები... აქ მუდამ აქვთ დეფიციტური მიკროდოზებიანი სამკურნალო პრეპარატები, მედიკამენტები დედათა და ბავშვთა „აფთიაქისათვის“, ვაზელინისა თუ ზეითუნის ზეთი, ჰიგიენურ-კოსმეტიკური საშუალებები. საქმედტექნიკის სამმართველოს ზრუნვის შედეგად განყოფილებაში შეუფერხებლად იგზავნება ავადმყოფი ბავშვისათვის საჭირო საგნები; შპრიცები, სტერილიზატორები, თერმომეტრები. დიდდოზებიან პრეპარატებს აქვე აფასოებენ შესაბამის მიკრო დოზებად.

...თუმცა, მაინც არ ჰყოფნით რეზინის ბალონები თუ საწოვრები. ხშირად დეფიციტურია ნახშირი, ზღვის მარილი, აირგამყვანი მილები, საბავშვო კრემები...

დღეს თუ მთავარი სააფთიაქო სამმართველოს ცენტრალური საწყობი ორიათასზე მეტი დასახელების ხუთი ათასამდე მედიკამენტსა და სხვადასხვა სამედიცინო ხელსაწყოს იტევს, აქედან პედიატრიულ განყოფილებას შეუფერხებლად ეგზავნება 500-მდე დასახელების მედიკამენტი.

აფთიაქში მყუდროება და სიფაქიზე სუფევს. მისაღებში დივანზე დედას შეუძლია ჩაიმუხლოს, თან თვალი გადაავლოს სამედიცინო ბროშურებს.

კედლები მოჩითულია ლამაზი ყურცქვიტებითა და მელაკუდებით, დათუნიებითა და ჩიტებით. სარეცეპტურო მაგიდის მიღმა ფუსფუსებენ თეთრხალათიანები. მანდილოსნებს სიკეთე, სიმშვიდე აღბეჭდვიათ სახეებზე.

...ორ ათეულ წელზე მეტია ამ სფეროში ილვწის ქეთევან უზნაძე. სამი შვილის დედისათვის უცხო არ არის აფთიაქის კარში გამოჩენილი ახალბედა დედის შეშფოთებული თვალები. იცის ქალბატონმა ქეთევანმა შვილის გამოჯანსაღებისათვის მშობლის მშვიდი განწყობისა და რწმენის ფასი... ამიტომაც არის, რომ პროვიზორის თანაშემწეები — ფარმაცევტები აზა სვანიძე და ქეთევან გეწაძე არაფერს იშურებენ და დედებს მედიკამენტებთან ერთად სხვა უებარ მალამოსაც ატანენ შინ.

ქეთევან უზნაძე ჟურნალს შლის... ისიც ხდება ხოლმე, რომ საჭირო პრეპარატი ყოველთვის არ აღმოაჩნდებათ აფთიაქში. და აი, დავალებების ჟურნალში პაციენტის გვარს, მისამართს, ტელეფონის ნომერს და პრეპარატის სახელწოდებას იწერენ. მერე კი მიღებისთანავე ტელეფონით ატყობინებენ — მობრძანდით, თქვენთვის საჭირო წამალი მივიღეთო. პასუხად მადლობასთან ერთად გაოცებასაც იგრძნობენ ხოლმე ესოდენი ზრუნვის გამო.

აფთიაქში შემოსული დედა რომ არ გააწბილოს, 27-ე აფთიაქის მმართველი სოკრატ სალუქვაძე ამაზე დღენიადაგ ზრუნავს.

„ძვირფასო ქართველო კოლეგებო, თქვენი პედიატრიული განყოფილების შექმნა „მედიცინსკაია გაზეტადან“ შევიტყეთ. ეს ჩვენთვის დიდად საინტერესო სიახლეა“, იწერებიან ბულგარეთიდან ვარნელი ფარმაცევტები და მუშაობის გამოცდილების გაზიარებას ითხოვენ.

გამოცდილება კი უკვე საკმაოდ დაუგროვდათ... ექსპერიმენტი მიზანს ამართლებს. განყოფილებისადმი კი... მომხმარებელს უკვე გარკვეული პრეტენზიებიც აქვს.

უდავოა, პრეპარატები, რომლებიც ზოგჯერ ქალაქის სხვა აფთიაქებს არ მოეძევებათ, პედიატრიულ განყოფილებაში მუდამ უნდა იყოს. სავალდებულო სააფთიაქო ასორტიმენტად უნდა ჩაითვალოს ბავშვის საფენების (ლიგნინის ქაღალდის) კომპლექტები, რომლებიც, რატომღაც, საქწიგნის მაღაზიებში საკანცელარიო ნივთებთან ერთად იყიდება. განყოფილების მიზანია ბავშვთა მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილება.

აქ საკმაო რაოდენობით უნდა იგზავნებოდეს ყველა საჭირო პრეპარატი.

განყოფილება ერთ წლამდე ასაკის ბავშვებს ემსახურება. ისმება კითხვა: სად წავიდნენ 13 თვის ჩვილის პატრონი დედები? ხომ არ აჯობებდა (თუ მეტისას არა) სასკოლო ასაკამდე ბავშვებს მაინც მომსახურებოდა აფთიაქი?

...მშობლების თხოვნა გაითვალისწინეს და ახლა პედიატრიული განყოფილება ორ ცვლად — საღამოს ათ საათამდე მუშაობს. შაბათ-კვირაობითაც ღია რომ იყოს აფთიაქის კარი, ეს, ჯერჯერობით, საშტატო ერთეულების უკმარისობის გამო ვერ ხერხდება.

მომავალში აფთიაქს არც ექიმ-პედიატრების ფხიზელი თვალი მოაკლდება. მის კვალიფიციურ რჩევა-დარიგებასა და კონსულტაციებს მიიღებენ დედები. ამისათვის მზადაა ოთახი.

...მომავალში იქნებ გაიზარდოს საშტატო ერთეული, მოემატოთ ფართობი და საშუალება მიეცეთ აქვე დაამზადონ ზოგი წამალი!

თბილისის პედიატრიული-სააფთიაქო განყოფილება ერთადერთია ჩვენს რესპუბლიკაში (და განა მარტო ჩვენში!). საჭირო კი არის, რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში გაიხსნას ასეთი განყოფილებები.

ნათელა ქიმერიძე

„საქართველოს სსრ რესპუბლიკაში თანმიმდევრულად ხორციელდება პროგრამა, რომლის მიზანია სასოფლო-სამეურნეო შრომა გადაიქცეს ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად“.

# კურდღლის სიკეთე



ვეტექიმი ეთეუნა ბურდული და მოწინავე მუშა ნაზი ხოხიტაშვილი

სწორედ იმიტომ, რომ უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ ადამიანთა მზარდი მატერიალური მოთხოვნილება, ჩვენში სასოფლო-სამეურნეო შრომა ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად იქცევა.

თბილისთან ახლოს მდებარეობს სოფელი კუმისი. იგი განთქმულია თავისი ლამაზი ადგილმდებარეობით, ბოსტნეულით, ღვინით. გარდა ამისა, კუმისელები მეკურდღლეობასაც მისდევენ. ამ საქმეს თავდაპირველად კუმისის მეურნეობამ მოჰკიდა ხელი. შემდეგში ეს დარგი ისე გაძლიერდა, რომ მეურნეობას გამოეყო და მებოცვრეობა-მემხეცეობის ფირმა-მეურნეობად ჩამოყალიბდა.

უკვე ორი წელია, რაც ფირმა-მეურნეობა არსებობს და საქართველოს მებოცვრეობის ფერმებს აერთიანებს. ესენია: ბებნის-დედოფლის, მარტყოფის და თეთრი წყაროს ფერმები, აგრეთვე ბაკურიანის მემხეცეობის (მელიების) ფერმა.

კუმისის ფირმა-მეურნეობის უპირველესი დანიშნულებაა საუკეთესო კურდღლის ჯიშებით მოამარაგოს რესპუბლიკის ფერმები. გარდა ამისა, იგი ახალ-ახალ ხორცს აწვდის მოსახლეობას.

კურდღლის ხორცი ორგანიზმისთვის ადვილად შესათვისებელია. სამკურნალოდაც გამოიყენება და როგორც კვების პროდუქტი უაღრესად სასარგებლოა.

და აი, საქართველოში, მართალია მოგვიანებით, მაგრამ მაინც მიექცა ამ დარგს ყურადღება.

კუმისის ფერმაში ორიათასი დედაკურდღელია, ბებნის-დედოფლისაში ათასი, თეთრ წყაროში — ხუთასი, მარტყოფშიც — ხუთასი.



ამ ფერმებში მათი მოვლა-გამრავლება და სხვა სამუშაოები მექანიზაციის გამოყენებით სრულდება. ინდუსტრია კიდევ ახალ პერსპექტივებს გვპირდება.

კუმისში მძლავრი კომპლექსის მშენებლობა მიმდინარეობს, რომლის დამთავრების შემდეგ კურდღლები უფრო უკეთეს პირობებში გამრავლდებიან.

აქ მალე დასრულდება მექანიზებული ფერმების მშენებლობა ხუთი ათასი დედა კურდღლისათვის. ხუთწლედის ბოლოსათვის კი აქ 17 ათასი დედა კურდღელი იქნება. ბებნის-დედოფალაში კომპლექსის აშენების შემდეგ ათი ათასი დედა კურდღელი დაემატებათ, თეთრწყაროში — ხუთი ათასი, მარტყოფშიც — ხუთი ათასი.

ასეთია მებოცვრეობის განვითარების პერსპექტივები მეათე ხუთწლედის ბოლოსათვის!

გარდა ამისა, ფირმა-მეურნეობა ხელს უწყობს მოსახლეობას კურდღლის შეძენაში, მისი მოვლა და შენახვა ძნელი არ არის. ამასთან კურდღლები წელიწადში ოთხჯერ იძლევიან თაობას, სწრაფად მრავლდებიან და ოჯახებშიც გამოუღლეველად არის სასარგებლო, დიეტური და გემრიელი ხორცი.

აი ეს არის კურდღლის სიკეთე!

კუმისის ფირმა-მეურნეობაში მეათე ხუთწლედის ბოლოს 75 ათასი დედა კურდღელი გვეყოლება.

ეს კი ახალი კომპლექსის სიკეთე იქნება.

ლ. ნინიძე.



# ავიყვანოთ თუ არა ბავშვი ხელში

ხდება ხოლმე, საკმარისია ბავშვმა ერთი წამოიტიროს, რომ დედა მაშინვე წამოხტეს და ჩვილი ხელში აიტაცოს. მამა კი, პირიქით, მოითხოვს, რაც შეიძლება თავი შეიკავონ, და ბავშვი თუნდაც მთელი ნახევარი საათი გადაბმული ტიროდეს, ნებას არ იძლევა პაწიას საწოლს ვინმე მიეკაროს. ზოგჯერ „სისუსტეს“ ბებია იჩენს, ახალგაზრდა დედ-მამას კი პირი აქვთ შეკრული და ცდილობენ ბავშვი საწოლში მშვიდად წოლას ან „მანეჟში“ თავისთვის თამაშს მიაჩვიონ.

რაღა თქმა უნდა, უფროსებისათვის ეს მართლაც რომ დიდი შეღავათია. იქნებ, სწორედ ამისთვის ცდილობენ ისინი დაარწმუნონ თავი იმაში, რომ ბავშვის ხელში აყვანა საჭირო არ არის? და ასე გვისაბუთებენ: განებივრდება, ჟინიანობას დაიწყებს, ხელიდან აღარ ჩამოვაო. რა საკვირველია, თუ ზომიერებას არ დავიცავთ, შეიძლება მართლაც ასე მოხდეს, რაც თავისთავად ნამდვილად არ არის კარგი. ბავშვი, როგორც კი წამოიტირებს, თუ მაშინვე ხელში ავიტაცეთ, შეიძლება მას „პათოლოგიური რეფლექსი“ განუვითარდეს: მანამდე იტირებს და იყვირებს, ვიდრე თავისას არ გაიტანს.

მაგრამ, არც ის არის კარგი, რომ ბავშვს მშობლის ალერსი მოვუსპოთ, უარი ვუთხრათ ყოველივე იმაზე, რაც მისთვის ბუნებრივია.

დედა-შვილი მუდამ განუყოფელ მცნებად წარმოგვიდგება. ათობით სურათი ამოგვიტივტივდება მეხსიერებაში დედისა ყრმით ხელში და ეს მხოლოდ ცნობილი მხატვრული ხერხი როდია, ეს სიმბოლოა, ბრძნული განზოგადებაა ცხოვრების კანონზომიერებისა. დედა-შვილის ურთიერთობას უამრავი გამოკვლევა მიეძღვნა. დასკვნა მუდამ ერთი და იგივეა: დედა-შვილის დიდი ხნით დაშორება არ შეიძლება!

ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ადრეულ ასაკში მშობლის ალერსის უკმარისობა ცუდ გავლენას ახდენს პიროვნების ჩამოყალიბებაზე. ფიზიოლოგები კი დაასკვნიან — დროდადრო ბავშვის ხელში აყვანა საჭირო და აუცილებელია, ეს განებივრება კი არა, სწორი აღზრდის აუცილებელი ელემენტიაო.

ახალშობილი თავს ვერ იჭერს, უმწეოდ უკან ან გვერდზე უვარდება. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვეცადოთ ბავშვი თავის დაჭერას მივაჩვიოთ, რაც ნორმალური განვითარების პირველი ნიშანთაგანია: ამიტომ არის, რომ ორი თვის ბავშვს ექიმი ყველაზე უწინ თავის დაჭერას უსინჯავს. აუცილებელი ჩვევების შეძენა მარტო დროისა კი არა, ორგანიზმზე სწორი ზემოქმედების შედეგიც გახლავთ. თუ ბავშვს ყოველდღე მცირე ხნით მაინც მუცელზე დავაწვენთ, ძალიან მალე და გაბედულად მიეჩვევა თავის დაჭერას.

კისრის კუნთები ბავშვს კარგად გაუვარჯიშდება და გაუმაგრდება. თუ 3 კვირისას 5-10 წუთით დღეში რამდენჯერმე ავიყვანთ ხელში, ოღონდ, ამჯერად ჰორიზონტალურად კი არა, ნახევრად მწოლარეს დავიჭერთ და თანდათან მივუახლოვებთ ვერტიკალურ მდგომარეობას.

ჩვილის გაზრდასთან ერთად დიდდება მისი ფხიზლობის პერიოდიც: ზურგზე მწოლარე სწრაფად იქნევს ხელებს, განსაკუთრებით კი — ფეხებს. უდავოა, რომ ეს მოძრაობები ბავშვისთვის ძალიან სასარგებლოა. და აი, ასეთ წუთებში ბავშვის ხელში აყვანა, მისი ბუნებრივი აქტიურობის დამუხრუჭება არ შეიძლება.

მაგრამ პაწია მალე იღლება — სახეს უკმაყოფილოდ იჭმუხნის, ტირის, ზოგჯერ ყვირის კიდევაც. აი, მაშინ კი ღირს ცოტა ხნით ხელში ავიყვანოთ, ხული მოვათქმევინოთ, დავასვენოთ, შემდეგ კი ისევ საწოლში ჩავაწვინოთ, რომ კვლავ ინტენსიურად იმოძრაოს.

როცა ბავშვი თავის კარგად დაჭერას და ტრიალს მიეჩვევა, მაშინ ხელშიც აქტიურობს. ახალი „სათვალთვალო“ წერტილიდან გარშემომყოფთ აზრიან მზერას აყოლებს, უცხო საგნები აინტერესებს. ასე მდიდრდება ბავშვის შთაბეჭდილებები, ხდება სამყაროს თანდათანობითი აღქმა. მაგრამ, თუკი ჩვილს ხელში არასოდეს ავიყვანთ, ოთახში არ ვატარებთ, მაშინ მას ფსიქიკური განვითარების მეტად საჭირო ფაქტორი დააკლდება.

თუ ბავშვს ხანდახან ავიყვანთ ხელში, ვერტიკალურად დავიჭერთ, მას ძალიან მალე და სწორად განუვითარდება დგომის პოზა, რაც მეტად საჭიროა, თუნდაც იმიტომ, რომ ვერტიკალური მდგომარეობა და სიარულის დასაწყისი ხელს უწყობს გულსისხლძარღვთა სისტემისა და სასუნთქი ორგანოების სრულყოფას.

ხელში ყოფნა, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, ჩვილი მზად არის მთელი დღე ასე გაატაროს, მით უმეტეს, თუ საწოლში და „მანეჟში“ მას დიდად არაფერი იზიდავს.

უნდა შევძლოთ ბავშვის გართობა, ასწავლოთ სათამაშოებით თამაში. მაშინ იგი ყოველ წუთს ხელში აყვანას აღარ მოგთხოვთ.

ყველაზე მწვავე გარემოება ჩვილის დაძინებლად დაწვენისას იქმნება. ბავშვების უმეტესობა სწორედ ამ დროს ჟინიანობს.

ბავშვი მთელი დღე მოძრაობს, აღგზნებულია, იღლება, ამიტომ ძილის წინ შეიძლება მივცეთ მატყუარა საწოვარა — იგი მას დაამშვიდებს. ხელში აყვანა კი ამ დროს ნამდვილად საჭირო არ არის.

ვ. პრაზნიკოვი,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.
ჟურნალი „ზდოროვიე“.

ნინო ჯავახიშვილი

# შორეულ გვადელუპაში

შარშან დეკემბერში, საფრანგეთის ერთ-ერთ ოკეანისგაღმა დეპარტამენტში — გვადელუპაში მიწვეული ვიყავი იქაურ ქალთა კავშირის კონგრესზე. სამწუხაროდ, კონგრესზე ვერ მოვხვდი, რადგანაც საფრანგეთის მთავრობამ ვიზა დამიგვიანა და მხოლოდ იანვრის ბოლოს მოვახერხე გამგზავრება. ცოტა ვღელავდი, მეშინოდა უდროო დროს მისული სტუმრის მდგომარეობაში არ აღმოვჩენილიყავი. მაგრამ შეხვედრამ, რომელიც ქალაქ პუენტ-ა-პიტრის აეროპორტში მელოდა, ყველა ეჭვი უმალ გაფანტა. დაეშვა თუ არა უშველებელი საჰაერო ხომალდი, რადიომ გამოაცხადა რაღაც ჩემი გვარის მსგავსი. მიმიწვიეს გამყოლთან. მხვდებოდა გვადელუპელ ქალთა დიდი ჯგუფი, ქალთა კავშირის თავმჯდომარის ჟორჟ ტერერის მეთაურობით.

აეროპორტიდან წამიყვანეს ქალთა კავშირის ერთ-ერთი წევრის ჰიუგეტ დანინტეს სახლში და კავშირის მთელმა ხელმძღვანელობამაც იქ მოიყარა თავი. ურთიერთმისალმების შემდეგ გამაცნეს ჩემი გვადელუპაში ყოფნის პროგრამა. შვიდი დღის განმავლობაში შვიდი ქალაქი უნდა მომევლო და ცხრა შეხვედრა მომეწყო ქალთა კავშირის ადგილობრივ ორგანიზაციებში. ცხადია, პროგრამა დაძაბული იყო, მაგრამ უაღრესად საინტერესო.

გვადელუპა ორი პატარა კუნძულია. ისინი ერთიმეორესთან ხიდით არის დაკავშირებული. ორივე კუნძულის ფართობი 1.8 ათასი კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა 400 ათასამდეა.

ამ ტროპიკული ქვეყნის ეგზოტიკას ისიც უნდა დაემატოს, რომ ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ქრისტეფორე კოლუმბის გემის ეკიპაჟმა პირველად აქ დაადგა ფეხი მიწას. ამ ადგილზე კოლუმბის ძეგლი დგას და ადგილს კრისტოფერი ეწოდება.

არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ყველგან, სადაც კი ყოფნა მომიხდა, გვადელუპის დედაქალაქ ბას-ტერში, ყველაზე დიდ ნავსადგურ, ქალაქ პუენტა-ა-პიტრში, ქალაქებში — კაპესტერში, პორტ-ლუისში, მორნ-ა-ლოში, სან-ანში, სან-ფრანსუაზში — ყველგან გულითადად მხვდებოდნენ, როგორც საბჭოთა ქალების წარმომადგენელს და დიდ ინტერესს ამჟღავნებდნენ ჩვენი ქვეყნისადმი.

ბევრ ადგილას ქალაქის მერად კომუნისტია არჩეული. ასეთ ქალაქებში შეხვედრები ქალაქის მუნიციპალიტეტის შენობაში ეწყობოდა და მას, ქალთა კავშირის წევრების გარდა, ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლები და მერიც ესწრებოდნენ.

ყველგან და ყველას ვაცნობდი საბჭოთა სინამდვილეს, საბჭოთა ქალებს, მათ მიღწევებსა და წარმატებებს. ხშირად მეკითხებოდნენ: — რა დახმარებას უწევს საბჭოთა ხელისუფლება ქალს? — ამას იმიტომ მეკითხებოდნენ, რომ გვადელუპაში, ისე, როგორც ბევრ სხვა კაპიტალისტურ ქვეყანაში, მკვეთრად არის განსაზღვრული ადგილობრივი, ე. ი. მუნიციპალური და სახელმწიფოებრივი ბიუჯეტი. აინტერესებდათ, რა დახმარებას იღებს საბჭოთა კავშირში მარტოხელა დედა და მრავალშვილიანი ოჯახი? როგორია ქალის ხელფასი? რა შეღავათებია ბავშვიანი მუშა-მოსამსახურე ქალებისათვის დაწესებულებებში, საწარმოებში. ნებადართულია თუ არა განქორწინება? ნებადართულია თუ არა ორსულობის შეწყვეტა? არსებობს თუ არა მრავალშვილიანობის შეზღუდვა? როგორია ბინის ქირის რაოდენობა? რამდენად სტაბილურია საკვები პროდუქტების ღირებულება? არის თუ არა პიროვნების თავისუფლება?

ჩემმა პასუხმა კითხვაზე — როდის, რა ასაკიდან იწყებს საბჭოთა სახელმწიფო ბავშვებისათვის ზრუნვას, — მის დაბადებამდე-მეთქი დიდად განაცვიფრა დარბაზი.

გვადელუპელ ქალთა კავშირი საკმაოდ პოპულარული ორგანიზაციაა. იგი შეთანხმებით მუშაობს იმ ქალაქების მუნიციპალიტეტებთან, რომლებსაც პროგრესული მიმართულების მერები ხელმძღვანელობენ.

ბევრ ქალაქში მაჩვენეს კომპლექსები, რომლებსაც „მატერნიტე“ („დედობა“) ეწოდება. ამ კომპლექსში შედის დედათა და ბავშვთა კონსულტაცია, საბავშვო ბაგა და ბაღი. ასეთ კომპლექსებში ბავშვები მუნიციპალიტეტის ხარჯზე არიან და აღმზრდელები უწევენ მეთვალყურეობას. მართალია ზოგან, მაგალითად ქალაქ სან-ანში კომპლექსი აშენებულია, მაგრამ არ მოქმედებს, რადგანაც მუნიციპალიტეტს თანხები არ გააჩნია შტატის შესანახად.

მუნიციპალური ბაგა-ბაღების გარდა არის კერძო ბაგებიც. ქალაქ პუენტ-ა-პიტრში ერთ-ერთი ასეთი ბაგა მაჩვენეს. ხის პატარა ქოხში, ორ ოთახში ათი ძუძუთა ბავშვი იყო მოთავსებული. მათ ხანშიშესული ქალი და ერთი გოგონა უვლიდა. ყველ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

გან ბუზები იყო. საკვები თავახდილი გახლდათ, პატარები პირდაპირ მუშამბაზე იწვნენ, რადგანაც ზეწრების მაგივრად ცხვირსახოცისოდენა საფენები ეფინათ. ქალთა კავშირის ხელმძღვანელები ამ ქალს დაემუქრნენ, თუ არ დაიცავ სისუფთავეს, კერძო ბაგას გავაუქმებთო. მაგრამ ქალი, ეტყობოდა, ამ მუქარამ ადვილად არ შეაშინა. მუნიციპალური ბაგები ძალიან ცოტაა და, ცხადია, მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. ისე რომ, მომუშავე დედა იძულებულია სადმე მაინც მიაბაროს ბავშვი.

შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ქალთა კავშირი აქტიურად მონაწილეობს მომუშავე ქალთა დასახმარებლად. ყველგან, სადაც კი მომიხდა ყოფნა, ქალთა კავშირის წევრები თითქმის ყველა ქალის ოჯახურ მდგომარეობას იცნობდნენ. ჩვენი მანქანა ბევრ საცხოვრებელთან ჩერდებოდა, მასპინძლები მაცნობდნენ დიასახლისს, მის გაჭირვებას, მისი ოჯახის ავ-კარგს.

მუნიციპალიტეტი აწყობს და ინახავს რაიონულ ბიბლიოთეკებსაც. ქალაქ პუენტ-აპიტრში მუნიციპალიტეტმა ერთ მრავალსართულიან სახლში მოხუცებს გამოუყო ორი პირველი სართული, სადაც პენსიონერებს შეუძლიათ იცხოვრონ შედარებით მცირე ფასად. აქ ყველას აქვს ერთი პატარა ოთახი, სანიტარული კვანძი, შხაპი, სამზარეულო — გაზქურითა და მაცივრით, ე. ი. მოხუცს შეუძლია თვითონ მოიმზადოს საჭმელი. გარდა ამისა, არის სასადილო, სადაც შეიძლება გამოიკვებონ შეღავათიან ფასებში.

ქალაქ სან-ანში, ოკეანის სანაპიროზე აგარაკების კომპლექსია, სადაც შეიძლება დასვენება ოჯახთან ერთად. ცოტა უფრო მოშორებით დიდი სასტუმროა და მდიდრული კერძო აგარაკები, მაგრამ იქ ფასები ძალზე დიდია.

ქოხმახებიდან თავის დასაღწევად მუნიციპალიტეტები აშენებენ დიდ საცხოვრებელ სახლებს, ან ცალკე სახლებს ერთი ოჯახისათვის; მაგრამ ქოხმახებიდან ხალხის გასახლება არცთუ ისე ადვილია, რადგანაც ბინის ქირა დიდია და ხელფასის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.

მუნიციპალიტეტებს არ გააჩნიათ საკუთარი სამშენებლო ორგანიზაციები. მშენებლობისათვის ისინი რომელიმე კერძო მშენებელს გაურიგდებიან ხოლმე.

გვადელუპაში სკოლები სახელმწიფოსია, მაგრამ, როგორც ამიხსნეს, მათი რაოდენობა მცირეა, ბევრი სასკოლო ასაკის ბავშვი სიშორის გამო, სასწავლებელში ვერ დადის. საზოგადოებრივი ტრანსპორტი გვადელუპაში არ არის, მოსწავლეთა საგანგებო ტრანსპორტზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, თუნდაც იყოს, ყველა ოჯახს არა აქვს საშუალება გადაიხადოს მგზავრობის საფასური.

ამ რამდენიმე წლის წინათ გვადელუპაში გაიხსნა უნივერსიტეტი, მაგრამ ეს არ არის სრული უმაღლესი სასწავლებელი, უფრო სწორად, ზოგად მოსამზადებელი კურსებია, ორი პროფილით: მათემატიკურ-ტექნიკური და საბუნებისმეტყველო. ამ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდას ეძლევა უფლება შევიდეს საფრანგეთის რომელიმე უნივერსიტეტში სრული უმაღლესი განათლების მისაღებად. უნივერსიტეტს სასწავლო კორპუსების გარდა აქვს კვლევითი ლაბორატორიების კორპუსი, ბიბლიოთეკის შენობა, საერთო საცხოვრებელი სტუდენტებისათვის და სასადილო. საერთო საცხოვრებელი მთლიანად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას და ბევრი ახალგაზრდა კერძო ბინაში ცხოვრობს.

ბიოლოგიის კათედრაზე საინტერესო მეცნიერული კვლევა-ძიება წარმოებს გვადელუპაში გავრცელებული კიბოების შესასწავლად. ზოგიერთი ამ ცხოველთაგანი პარაზიტული დაავადებების გამავრცელებელია.

ქალაქ პუენტ-ა-პიტრში მიჩვენეს ძველი 800 საწოლიანი საავადმყოფო, რომელსაც ყველა ძირითადი განყოფილება აქვს. თუმცა შენობა ძველია, მაგრამ საკმაოდ მოწესრიგებული, აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით. ძველი საავადმყოფოს მახლობლად მდებარეობს ახალი, ფრანგული პროექტით აგებული შენობა, რომლის გახსნას დღედღეზე ელოდნენ. მე მხოლოდ ორი განყოფილება ვნახე — აფთიაქი და სამეანოგინეკოლოგიური; ყველაფერი მედიცინის და ტექნიკის დღევანდელ მოთხოვნებს შეესატყვისებოდა.

გვადელუპაში არ არის წარმოება-დაწესებულებები. ძირითადი კულტურა აქ შაქრის ლერწამი და ბანანებია. მიწა კერძო მესაკუთრეებს ეკუთვნით. ადგილობრივი მოსახლეობა უმიწაწყლოა. მსხვილი მიწათმფლობელნი იჯარით აძლევენ მიწის ნაკვეთს დასამუშავებლად. მოიჯარადრე ვალდებულია მოიყვანოს შაქრის ლერწამი, როდესაც მომწიფდება, მოჭრას და გადასამუშავებელ პუნქტში ჩააბაროს. ეს სამუშაო სეზონურია და დანარჩენ დროს მოიჯარადრეს შემოსავალი აღარა აქვს, რადგანაც გვადელუპაში მხოლოდ შაქრის ლერწმის გადამუშავება ხდება. ნახევარფაბრიკატი საფრანგეთში მიაქვთ, ოკეანისგაღმა, იქ იწმინდება და რაფინირებული შაქარი უკან ბრუნდება გვადელუპაში. ზოგიერთი მიწისმფლობელი საცხოვრებელ ბარაკებს აშენებს მოიჯარადრეებისათვის, საკუთარი მეურნეობის წამოწყების უფლებას კი არ აძლევს მათ. ერთერთ ასეთ ქოხში ქალაქ მორნ-ალოს მიდამოებში ვესტუმრეთ შაქრის ლერწმის პლანტაციის მოიჯარადრე ქალს. გასაოცარია, როგორ ცხოვრობენ იქ ადამიანები, ან როგორ იცავენ სისუფთავეს.

გვადელუპაში უხვად არის მრავალფეროვანი ხილი და ბოსტნეული, მაგრამ არა აქვთ კონსერვების წარმოება. ხილის და ბოსტნეულის კონსერვები სხვა ქვეყნებიდან შეაქვთ. გვადელუპის ადგილობრივ მოსახლეობას არ გააჩნია არავითარი საწარმოო საშუალება. ყველაზე პრიმიტიული იარაღებიც კი კერძო მესაკუთრესია, ai თუნდაც მაგალითად, მანიოკის დასაქუცმაცებელი მანქანა და ღუმელები (მანიოკი ძირხვენაა, რომლის ფქვილიც ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი საკვები პროდუქტია).

ერთადერთი გვადელუპური საწარმო მერძევეობის ფერმაა. საფრანგეთიდან ჩამოიყვანეს ჯიშიანი ძროხები, რადგანაც ად-



ეროვნული ბიბლიოთეკა



გილობრივი ნაკლებპროდუქტულია და დაიწყეს რძისა და მაწვნის დაფასოება. რძის სხვა პროდუქტებს არ აწარმოებენ.

არის კიდევ „ხალხური შემოქმედების ცენტრი" ქალაქ პუენტ-ა-პიტრში. ეს უფრო სასწავლებელია, რომლის მიზანია შეინარჩუნოს და განავითაროს ხელსაქმე, რომელიც გვადელუპისათვის არის დამახასიათებელი, ამასთან ერთად „ცენტრი" აწყობს იქ დამზადებული ნივთების გამოფენა-გაყიდვას. აკეთებენ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ თოჯინებს, ნიღბებს, ხის და კერამიკულ სამახსოვრო სუვენირებს.

ქალთა კომიტეტი დიდ საგანმანათლებლო მუშაობას ეწევა მოსახლეობაში და განსაკუთრებით ქალთა შორის, მაგრამ აქ ჯერ კიდევ შენარჩუნებულია მონობისდროინდელი გადმონაშთები. სამუშაო ყველას არა აქვს, მითუმეტეს დიდია უმუშევრობა ქალთა შორის. ზოგიერთ ქალს, პროფესიის უქონლობის გამო, არ გააჩნია საარსებო საშუალებები და იძულებულია თავისი ბედი დაუქორწინებლად რომელიმე მამაკაცს დაუკავშიროს. ცხადია ასეთ კავშირს მოჰყვება ბავშვის გაჩენა, მამას არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრება შვილების მიმართ, ხშირად იგი ტოვებს ოჯახს და ქალი, ბავშვისა და თავის გამოსაკვებად უკავშირდება მეორეს. ასე და ამგვარად უჩნდება მას რამდენიმე ბავშვი, სხვადასხვა მამების შვილები. ჩვეულებრივ 30 წლის ასაკისათვის ასეთ მარტოხელა დედებს 9-10 შვილი უგროვდებათ. რამდენიმე მარტოხელა დედა გამაცნეს კიდეც ქალთა კავშირის წევრებმა. ცხადია, ასეთი ქალები გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან. დახმარების მიღებას სახელმწიფოსაგან ან მუნიციპალიტეტიდან დიდი დავიდარაბა სჭირდება. წარმოუდგენელია, რით და როგორ არსებობს ასეთი ოჯახები? მაგრამ არც ის ოჯახებია უკეთეს მდგომარეობაში, სადაც მამები არიან. თუ ისინი უმუშევრები ან ინვალიდები არიან, ძუძუთა ბავშვებს ხშირად ყავიანი წყლით კვებავენ, რადგან რძე ძალიან ძვირია.

უმუშევრობა დიდია, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს საკმარისად ინტენსიური მშენებლობა, რომელიც თითქმის ყველგან არის გაშლილი გვადელუპაში. ძირითადად საცხოვრებელი სახლები შენდება, მაგრამ ქალაქ პუენტ-ა-პიტრში აშენებულია ანტილის კუნძულებზე ყველაზე დიდი თეატრი, რომელსაც ორი დარბაზი აქვს და ყველა სათავსო, მთელი აღჭურვილობა ტექნიკის თანამედროვე მიღწევების დონეზეა.

გვადელუპის ქალთა კავშირის გარდა არის კიდევ ერთი ქალთა ორგანიზაცია „სოლიტიუდი". ასე ჰქვია ერთ-ერთი გმირი გვადელუპელი ქალის პატივსაცემად, რომელიც იბრძოდა კოლონიალიზმის უღლისაგან გათავისუფლებისათვის. ამ ორგანიზაციის მიზანია აღმზრდელობით-საგანმანათლებლო მუშაობის გაშლა ქალთა შორის.

არ შეიძლება ხაზი არ გაესვას იმ ინტერესს და კეთილ განწყობილებას, რომელსაც გვადელუპელები იჩენდნენ საბჭოთა კავშირისადმი და, კერძოდ, ჩვენი რესპუბლიკისადმი. ქალაქი პუენტ-ა-პიტრი სოხუმის დამმობილებული ქალაქია, მთავარი მოედანი სოხუმის სახელობისაა. ერთი წლის წინათ, იქ მოწყობილ დამმობილებული ქალაქების კონგრესზე სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. მიკამბა იყო მიწვეული. სოხუმშიც ნამყოფი არიან პუენ-ა-პიტრის წარმომადგენლები.

განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ჩემთვის, რომ ჩვენი ლიტერატურის თაყვანისმცემელიც ვნახე გვადელუპაში. ქალაქ მორნ-ალოს ქალთა კავშირის თავმჯდომარემ ჟორჟეტ პიერ-ჟუსტენმა მთხოვა მისთვის გამეგზავნა ნოდარ დუმბაძის ნაწარმოების — „მე ვხედავ მზეს" — ფრანგული თარგმანი, რომელიც მას ძალიან მოსწონებია და უნდა, რომ სხვებსაც გააცნოს.

ამ ხანმოკლე, მაგრამ უაღრესად საინტერესო მოგზაურობამ წარუშლელი შთაბეჭდილებები დამიტოვა.

# კერძები ბავშვებისათვის

## ქათმის წვნიანი (სუფი) — პიურე

ქათმის ხორცი — 400 გრ
მწვანილის ძირები — 30 გრ
კარაქი — 10 გრ
პურის ფქვილი — 6 გრ
1 კვერცხის გული
რძე — 50 გრ

გასუფთავებულ-გარეცხილი ქათამი დაჭერით, დაასხით 6-8 ჭიქა ცივი წყალი, დაახურეთ ხუფი და დადგით ჩასახარშად. როცა წყალი წამოდუღებას და პირებს, ხუფი მოხადეთ; ქაფს აცალეთ, ვიდრე ქუდივით არ ამოიწევა და კოვზით მოხადეთ. უყავით მარილი. როცა ქაფი კვლავ ამოიწევს ზედაპირზე, ისიც მოხადეთ, ჩადეთ შიგ მწვანილის ძირები (ან კონად შეკრული ღერები). ქათამი თავდახურული უნდა იხარშოს.

როცა ხორცი კარგად დარბილდება, ამოალაგეთ, მოაცილეთ რბილი ნაწილები, დანარჩენი კვლავ ბულიონში ჩადეთ და ხარშვა განაგრძეთ. რბილი ნაწილი 2-3-ჯერ გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში.

ერთ ჩაის კოვზ კარაქში (გნებავთ, მეტში) მოშუშეთ 1 სუფრის კოვზი პურის ფქვილი, რასაც ნელ-ნელა დაუმატებთ გაწურულ ბულიონს. კურკუშელები რომ არ გაჩნდეს, კარგად უნდა ურიოთ, ადუღეთ 20 წუთი.

შემდეგ უკვე გამზადებულ ქათმის პიურეს, იმდენი ბულიონი (უკვე ფქვილით შემზადებული) დაუმატეთ, ვიდრე თქვენთვის სასურველ სისქისას არ მიიღებთ. კერძი არც სქელი უნდა იყოს და არც თხელი.

თუ გინდათ წვნიანი განსაკუთრებით მსუყე იყოს, სუფრაზე მიტანის წინ შეგიძლიათ შეურიოთ ერთ მეოთხედ ჭიქა რძესთან ათქვეფილი ერთი კვერცხის გული ან ნაღები.

## ხაჭოს პუდინგი

(ორი ულუფა)

ხაჭო 200 გრ
კვერცხი 1 ცალი
შაქარი 30-35 გრ
კარაქი 15 გრ
დაფქვილი ორცხობილა 25 გრ.

ხაჭო გახეხეთ საცერში, 1 კვერცხის გული დასრისეთ შაქარსა და კარაქთან ერთად. ყოველივე ეს შეურიეთ გახეხილ ხაჭოს, მიუმატეთ ორცხობილას ფქვილი. შემდეგ ათქვეფილი ცილა (ფრთხილად). ჩადეთ ცხიმწასმულ და ორცხობილამოფრქვეულ ყალიბში. შედგით ღუმელში. როცა პუდინგი ყალიბის გვერდებს მოშორდება, უკვე მზად არის. გადმოღების შემდეგ მოასხამთ ხილის დაშაქრულ წვენს.



# უფლისციხე

უძველესი ქართული მატიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ სხვა ძველ ქალაქებს შორის უფლისციხესაც ასახელებს.

კლდეში ნაკვეთი ქალაქი — უფლისციხე მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე ქალაქ გორის მახლობლად მდებარეობს. იგი მაღალი ნაპირის კლდეებშია ამოკვეთილი. ქალაქს ხანგრძლივი და ქარიშხლიანი ისტორია აქვს, მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით არაბების ბატონობის ხანაში იზრდება, როდესაც ქალაქ თბილისს აღმოსავლეთსა და სამხრეთ პროვინციებითურთ არაბეთის ხელისუფლების წარმომადგენელი — თბილისის ამირა განაგებდა. უფლისციხე VII-IX საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ცენტრი იყო და ამირას არ ექვემდებარებოდა. მას შემდეგ, რაც ქართველებმა არაბები განდევნეს და ერთიანი საქართველოს დედაქალაქი ქ. თბილისი გახდა, უფლისციხე თავის მნიშვნელობას ჰკარგავს, თუმცა ამის შემდეგაც ქართული მატიანე მას მრავალჯერ მოიხსენიებს სხვადასხვა ისტორიულ ფაქტებთან დაკავშირებით.

უფლისციხის ნაკვეთი დარბაზის ნაწილი ძველი წელთაღრიცხვის ბოლო საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს. ყველაზე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს დარბაზების კომპლექსს. ფართო თაღოვანი შესასვლელის თავზე შორიდან ჩანს ფრონტალური მოხაზულობა. შიგნით კი ერთ-ერთი დარბაზის კამარა შემკულია რომაული ტიპის კესონებით.

როგორც აკადემიკოსი შ. ამირანაშვილი აღნიშნავდა ცენტრალური დარბაზის პირდაპირ, კლდეში ამოკვეთილია ნახევარწრიულად განლაგებული საჯდომების ორი მწკრივი, რომლებიც, როგორც ჩანს, მაყურებელთათვის ყოფილა გათვალისწინებული. თუ გავითვალისწინებთ ცენტრალური დარბაზის მხატვრულ მორთულობას, შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიშნული ნაგებობა სათეატრო დანიშნულების კომპლექსია, რომელიც II-III საუკუნეებს მიეკუთვნება, მით უმეტეს, რომ ანტიკური ხანის საქართველოში თეატრის არსებობას უცხოური წყაროც გვიდასტურებს.

უფლისციხეში გვხვდება ერთ, ორ და მეტოთახიანი კომპლექსები, რომლებიც სტრუქტურით ვანის სამეფოში გავრცელებულ გამოქვაბულებს ენათესავება. უფლისციხეში არის ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისის დროინდელი და შუა საუკუნეებში გამოკვეთილი ოთახებიც. ამრიგად, ამ საინტერესო და ორიგინალური ქალაქის ისტორია ქრონოლოგიურად საკმაოდ ვრცელი და სისხლსავსე ყოფილა. მაგრამ შემდგომ პერიოდში იგი მიტოვებული და გაუკაცრიელებულია. უკვე XVIII საუკუნის შუაწლებში ვახუშტი ბაგრატიონი მოგვითხრობს, რომ უფლისციხე „აწ არს შემუსვრილი“.

კლდეში ნაკვეთი ქალაქის უფლისციხის ნამდვილი მეცნიერული შესწავლა და მოვლა-დაცვა საბჭოთა პერიოდში გახდა შესაძლებელი. უკანასკნელ წლებში იქ მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა, რამაც შესაძლებელი გახადა ბევრი ფაქტის გამოვლინება ამ თავისებური და უძველესი ხუროთმოძღვრული ძეგლის შესახებ.

ირ. ზაქარიაშვილი

გარეკანის პირველ გვერდზე — რუსთავის საბავშვო სახლის დირექტორი ეკატერინე კოსოვა თავის აღსაზრდელებთან; მეოთხე გვერდზე — რუსთავის საბავშვო სახლის აღსაზრდელები ვარჯიშის დროს.

დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდები.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. ბურბენიძე, ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი)
ტექრედაქტორი ნ. ბ უ კ ი ა

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, № რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 5/V-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/VI-78 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/3, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3
ტირაჟი 126.000. შეკვ. 1312 უე 00764 ფასი 30 კაპ.

# მოდა




ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 1 გოგონას კომბინირებული საზაფხულო კაბა, — წელში გადაჭრილი, სახელოები აპოლებულია გულისპირი მარმაშით და ფერადი მაქმანით არის გაწყობილი ქვედა კაბა ექვსნაჭრიანია ირიბად აჭრილი

№ 2 აბრეშუმის ქსოვილის საზაფხულო კაბა გოგონასათვის — წელში გადაჭრილი. სახელოები განიერი და ნაოჭაყრილია. გულისპირი და ქვედა კაბა გაწყობილია ფართო მაქმანით

№ 3 გოგონას აბრეშუმის კაბა. კაბის ზედა ნაწილი ზონარგაყრილია სახელოები ნაოჭაყრილია. ქვედა კაბა ირიბად არის აჭრილი და ვიწრო გამოკერილი ნაკეცები ახლავს

№ 4 ბიჭუნას ჯინსის ქსოვილის კომბინეზონი წინ მექანიკური შესაკრავით და ჯიბეებით კომბინეზონი გაწყობილია გვირისტით

№ 5. ჯინსის ქსოვილის კომბინეზონი მოზარდისათვის ჯიბეებით. კომბინეზონი გაწყობილია უჯრედებიანი ქსოვილით

მოდელების ავტორი — მხატვარი ნანა ცქვიტაია

6108/209



ИНДЕКС 76178